ᲙᲕᲘᲚᲘ

IX წ. საყოველკვირეო გაზეთი. IX წ.

№ 33. კვირა, 12 აგვისტო 1901 წელსა. № 33.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი - სამი შაური.

სელის მოწერა მიიღება: თფილისშ — «წერა-კითხვის გამამცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, თეატრის ქ., № 12. ტელეფონი № 734.

ფოსტის აღრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ".

შინაარსი: საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე, მოსაუბრისა.— სხვა-და-სხვა ამბები.— შ ნაური მიმოხილვა.—კავკასიის გამოფენაზე, გ-ოსი.—კორესპონდენციები.— რუსეთის ცხოვრება.—საზღვარგარეთ. —სამშობლოს სიყვარული, ლექსი.—რუსული პოეზიის უმთ. მომენ. მე-XIX საუკ., ი. გომარდელისა. ყურნალ-გაზეთებიდან.—მეცნიერება და მეცნიერები, დ. თოფურიძისა.—განცხადებანი.

საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე.

IV.

თფილისის გაზეთებს კარგი დარი დაუდგათ: კავკასიის გამოფენა მთელი ნახევარი წლის განმავლობაში მაინც არ გამოულევს მათ სალაპარაკო მასალას. ეს კი კარგი საქმეა ჩვენ ობმოკიდებულ და დამძაღებულ გამოცემათათვის, რომლებიც მასალის უქონლობის გამო იძულებული არიან ერთი და იგივე იმეორონ და ღეჭონ ყოველ ცისმარე დღეს. ეს რამდენიმე თვეა კავკასიის გამოფენაზე ლაპარაკი არ შეწყვეტილა ადგილობრივ გაზეთებში; და არა თუ არ შეწყვეტილა, არამედ რაც უფრო ახლოვდება გამოფენის გახსნის ვადა, მაზე ლაპარაკი სულ უფრო და უფრო ძლიერდება, ასე რომ თფილისის გაზეთები ლამის გამოფენის ქრონიკებათ გადაიქცენ. რაღა იქნება მაშინ, როცა გამოფენა უკვე გაიხსნება, ჩვენ ალარ ვიცით. ჩვენ ვიცით მხოლოთ ის, რომ აქამდის გონიერი სიტყვა და აზრი ჩვენ არ გვსმენია ხსენებული გამოფენის შესახებ, თუმცა, როგორც ვთქვით, ამოდენი მელანი და ქაღალდი დაიხარჯა მაზე წერით. რასაკვირველია, იმის წინასწარ თქმა, რას გვაჩვენებს კავკასიის მომავალი გამოფენა, ძნელია. მაგრამ თუ რის ჩვენება შეუძლია საზოგადოთ გამოფენას, და კერძოთ კავკასიის გამოფენას, ამაზე სჯა-ბაასი საჭირო იყო. გამოფენა ადამიანის ნამოქმედარის, მისი შრომის ნაყოფის დანახვაა. მაშასადამე, აქ შედის ადამიანის მოქმედების ყოველივე მხარე, როგორც ნივთიერი, ისე გონებრივი. ამიტომ აქ საჭიროა წინდახედული და მოფიქრებული მოქმედება. სამწუხაროთ, უნდა აღვიაროთ, რომ მომავალ კავკასიის გამოფენას ეს თავიდანვე არ დაყოლია, მის მოქმედებას უფრო ნაჩქარეობა და სულწასულობა ეტყო-



გლებ ივანეს ძე უსპენსკი.

ბოდა. ამიტომ ჩვენ წინდაწინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ჩვენ ვერ დაგვანახვებს ნამდვილ სურათს ჩვენი დღევანდელი ცხოვრებისას. უეჭველია, ჩვენ იქ ვნახავთ და გავიცნობთ ნავთის წარმოების საქმეს, არყის ხდას, სხვადა-სხვა ქარხნების თუ ფაბრიკების ნაწარმოებთ; ჩვენ იქ ვნახავთ ალბათ მეურნეობის და შინამრეწველობის ნაწარმოებთაც, მაგრამ ჩვენი ქვეყნის საერთო ეკონომიურ სურათს იგი ჩვენ ვერ მოგვცემს, იგი ჩვენ ვერ გაგვაგებინებს კავკასიის მრეწველობის და მით უმეტეს მეურნეობის მდგომარეობას, თუმც რაღაც მანქანების ძალით მას სამეურნეო გამოფენა უფრო ჰქვია, ვინემ სამრეწველო (ეს კარგი გაკვეთილია იმათთვის, ვინც მუდამ ჟამს გაყვირის, რომ ჩვენი ქვეყანა მეურნეობის ქვეყანა არისო!); უწინარეს ყოვლისა კავკასიის გამოფენა ვერ გაგვაცნობს ჩვენ იმის მდგომარეობას, ვისი ხელითაც მთელი ეს გამოფენილი სიმდიდრე შექმნილა. მართალია, როგორც გაზეთები წერენ, გამოფენაზე ჩვენ ალბათ ვნახავთ კავკასიის ხალხთა და მივარდნილი კუნჭულების წარმომადგენლებს, გავიცნობთ იმათ ჩაცმულობას (არა ბ-ნ ინ-ანის ბარომეტრს, რასაკვირველია), შეიძლება გავიგონოთ იმათი სიმღერებიც, და მორჩა და გათავდა: იმათი ნივთიერი და გონებრივი მდგომარეობის შესახებ იმაზე მეტი არა გვეცოდინება რა, რაც წინეთ ვიცოდით. ჩვენ გვაჩვენებენ ცალკე ნაწარმოებთ, გალამაზებულთ, შვენივრათ და სუფთათ დალაგებულთ; მაგრამ ჩვენ არავინ არაფერს არ გვეტყვის იმაზე, თუ რა პირობებში მზადდება ესა თუ ის საგანი, თუ როგორია მისი გამკეთებელის მდგომარეობა. ერთი სიტყვით, უკეთეს შემთხვევაში გამოფენა დაგვანახვებს ჩვენ ჩვენი ეკონომიური ყოფა-ცხოვრების ერთ მხარეს, სრულიად გარეგანს; ხოლო მისი შინაგანი მხარე ჩვენთვის ისევე უცნობი დარჩება, როგორც წინეთ იყო. ასე ვართ ჩვენ ყველა საქმეშიაც, არა თუ მარტო გამოფენის საქმეში: ჩვენ გვაინტერესებს მხოლოთ გარეგანი მხარე, გარეგანი მორთულობა; სხვას ჩვენ გავურბით, თითქო გვეშინია იმის გაგების.—კარგი და თუ თქვენ იცოდით, რომ ეს ასე იქნებოდა, რათ დროზე არა თქვით, რომ ეს ნაკლი თავიდან აეცილებიათო,—შეიძლება გვკითხოს ჩვენ რომელიმე გულუბრყვილო მკითხველმა. მერე ვინ გაგიგონებდათ, რომ გვეთქვა? ჩვენში ბეჭდვითი სიტყვას მხოლოთ მაშინ აქცევენ ყურადღებას ძლიერნი ამა სოფლისანი, თუ მათ პირადობას შეეხეთ, თუ იმათ იგრძნეს, რომ თქვენი სიტყვა მათ ჩირქს ცხებს, დანარჩენ შემთხვევებში იმათ ბეჭდვითი სიტყვა ფეხებზე ჰკიდიათ.

ეს ბეჭდვითი სიტყვის გაუპატიურებაა, იტყვით თქვენ. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ამ გაუპატიურებაში საზოგადოებას იმდენათ აქვს წილი, რამდენათ თვით ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელთ. როგორიც მღვდელი, ისეთი ერიო. ბეჭდვითი სიტყვის არაფრათ ჩაგდება, მისი გაუპატიურება იმას მოწმობს, რომ თვით ბეჭდვითი სიტყვა ვერ იცავს თავს ღირსეულათ, რომ მას ჭეშმარიტების და სიმართლის დროშა ვერ უჭირავს საკმარისათ მაღლა. მკითხველმა უნდა იქონიოს მხედველობაში, რომ ჩვენ აქ ვლაპარაკობთ მხოლოთ ადგილობრივ რუსულ დროგამოშვებით გამოცემებზე, რადგანაც ადგილობრივ ენებზე გამოცემათ (ქართულ და სომხურ) იმ სფერაში, სადაც ჩვენი საჭირ-ვარამო საქმეები წყდება, არავითარი გავლენა არა აქვთ; განსაკუთრებით ქართული გამოცემების ხმა დღეს სრულიად ვერ აღწევს [illegible] ბამდე. ასეთი მდგომარეობა შექმნეს ადგილობრივ რუსულ გამოცემებმა. თქვენ შეგიძლიათ მთელი წლების განმავლობაში იკითხოთ ეს გამოცემები ისე, რომ სრულიად ვერაფერი წარმოდგენა ვერ შეადგინოთ ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრებაზე, იმათ ჭირ-ვარამზე, იმათ არსებით ინტერესებზე. დღიური ამბები, დანაშაულთა ქრონიკა, უცხოეთის ამბები, პირადული კინკლაობა, აი ის საზრდო, რომელსაც აწვდიან მკითხველს ადგილობრივი რუსული გაზეთები. გარდა ამისა იმათ არც არაფერი სწამთ და ვერც ვერაფერს ხედავენ. ქართული გამოცემები იმათთვის არ არსებობენ, და ან კი რა საჭიროა ეს მათთვის, როცა უამისოთაც იოლათ მიდიან. ადგილობრივი რუსული გამოცემანი სრულ სიჩუმეს ინახავენ ყოველივე იმის შესახებ, რაც ჩვენ გაზეთებში იბეჭდება: ისინი არ ღებულობენ ქართული გაზეთებიდან უბრალო ფაქტებსაც კი, რომელთა გაზიარება რუსეთის პრესისათვის მეტათ საჭირო იყო, მაგრამ რომლებიც ადგილობრივ გამოცემათა წყალობით ვიწრო ფარგალს არ სცილდება. ამნაირათ ადგილობრივ რუსულ გაზეთებს შეწყვეტილი აქვთ ყოველგვარი კავშირი ადგილობრივ ცხოვრებასთან. მართალია, ისინი გამოდიან ჩვენში, მაგრამ იმათი გამოცემა იმავე სახით დაუბრკოლებლათ შეიძლებოდა სადმე შორეულ ქალაქში ან მივარდნილ კუნძულზე. აი სწორეთ ამიტომ არის, რომ ადგილობრივმა გაზეთებმა დაკარგეს ყოველგვარი ნდობა და გავლენა საზოგადოებაში. წინეთ ეს ასე არ იყო. წინეთ ადგილობრივი რუსული გამოცემანი ბევრათ უფრო მეტი ყურადღებით და ინტერესით უცქეროდენ იმ გამოცემათ, რომლებიც ადგილობრივ ენებზე გამოდიოდენ. იმათ უფრო დაახლოვებული კავშირი ჰქონდათ ერთმანეთ შორის და ამიტომ უფრო მეტი გავლენა საზოგადოებაში. ეს კავშირი თანდათან გაქრა და იმავე დროს რუსული გაზეთებიც თანდათან გადაგვარდენ. ჩვენ აქ არ ვახასიათებთ ადგილობრივ რუსულ გაზეთებს, ჩვენ აქ ვუთითებთ მკითხველს ხსენებულ გამოცემათა დაქვეითებაზე და ადგილობრივ ცხოვრებასთან კავშირის გაწყვეტაზე, ე. ი. იმ გარემოებაზე, რომელმაც დაუკარგა მათ ნდობა და გავლენა საზოგადოების თვალში. იმ საზოგადოებას, რომელიც ყურს უგდებს მხოლოთ ადგილობრივ რუსულ გაზეთებს, სრული უფლება აქვს მათი სიტყვა არავითარ პატივდებაში არ მიიღოს და არც ღებულობს კიდევაც. ამნაირათ ჩვენში დღეს არ არსებობს არც ერთი გამოცემა რუსულ ენაზე, რომელიც ადგილობრივ ჭირ-ვარამზე ლაპარაკობდეს, რომელსაც ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესები აწუხებდენ. ამაზე ღირს რომ დავფიქრდეთ.

* * *

ეს საუბარი მე მსურს დავაბოლოვო შენიშვნით ჩვენი ქალაქების თვითმართველობათა შესახებ. ამ დღეებში გაზეთებში გამოქვეყნდა შემდეგი ამბავი: უმაღლესმა მთავრობამ გააუქმა თფილისის ქალაქის საბჭოს 26 მარტის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საბჭოს ხმოსანთა არჩევნები მოხდეს ერთ საარჩევნო კრებაზე. თფილისის ქალაქის თვითმართველობამ უნდა მოახდინოს ეს არჩევნები რამდენსამე საარჩევნო კრებაზე, რისთვისაც ქალაქი უნდა დაიყვეს უბნებათ. უბნების რაოდენობის განსაზღვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა კი კავკასიის მთავარმართებელს აქვს მინდობილი. მას შემდ-გ, რაც ამ არჩევნების მოხდენამ აყალმაყალი და კინკლაობა გამოიწვია ერთი მხრით თვით საბჭოში და მეორე მხრით საბჭოსა და ადგილობრივ საგუბერნიო ადმინისტრაციას შორის, ეს ასე უნდა დაბოლოვებულიყო. მკითხველს ალბათ ეხსომება ამ არჩევნების საარაკო ისტორია. პირველათ ქალაქის საბჭომ დაადგინა, ქალაქის ხმოსანთა არჩევნები რამდენსამე საარჩევნო კრებაზე მოხდესო, და ამისთვის გაიყო ქალაქი 6 უბნათ. ეს დადგენილება გაგზავნა ადგილობრივ მთავრობას დასამტკიცებლათ, როშელმაც საზოგადოთ მოიწონა იგი, მაგრამ მისი აზრით ქალაქი ვერ იყო შესაფერათ დაყოფილი; მაგ., ყველა საარჩევნო უბანი ისე იყო შემდგარი, რომ უმრავლესობა ყოველგან ერთი ეროვნების წარმომადგ-ნელთაგან შესდგებოდა; გარდა ამისა ქალაქის ღარიბ და მდიდარ მცხოვრებთა შორის ასარჩევ ხმოსანთა რიცხვი არ იყო თანაბრათ განაწილებული. ამ მოსაზრებით გუბერნატორმა დაყო ქალაქი არჩევნების მოსახდენათ სხვანაირათ, და ქალაქის თვითმართველობას წინადადება მისცა ამ ახალი დაყოფით ეხელმძღვანელა. ამ წინადადებამ შეაფიქრა თფილისის ქალაქის საბჭო, მან იუკადრისა გუბერნატორის მოსაზრება და თავისი პირველი განაჩენი უკან წაიღო და დაადგინა: არჩევნები ერთ კრებაზე მოხდესო. საგუბერნიო სკრებულომ არ დაამტკიცა ეს დადგენილება და ქალაქის საბჭოს მიანდო ამ საქმის ხელ-ახლათ განხილვა. ხოლო საბჭო შემდეგ უსაუფუძლო თათბირისა მაინც ერთ საარჩევნო კრებაზე გაჩერდა. ახლა უმაღლესი მთავრობის განკარგულებით ამ დაუსრულებელ დავას მიეცა ბოლო.

ამნაირათ ამ საქმეში ერთხელ კიდევ დამარცხდა თფილისის ქალაქის საბჭო. და წარმოიდგინეთ, ამ დამარცხებას, თფილისის ქალაქის საბჭოს სასირცხოთ, სიამოვნებით მიეგებება ქალაქის მცხოვრებთა ყველა კეთილისმსურველი. ეს გარემოება მეტათ სამწუხაროა: იგი აშკარათ მოწმობს, თუ როგორ უკულმართათ არის მოწყობილი ჩვენში ქალაქის თვითმართველობის საქმე: ის დაწესებულება, რომელიც მოწოდებულია პირდაპირ საერთო ინტერესების დასაცველათ და საზოგადოების სარგებლობისთვის, ნამდვილათ საზოგადოების დამჩაგვრელი ყოფილა. როგორც ამ საქმეში გამოიჩინეს ქალაქის „მამებმა“ ორგულობა და უღალატეს თავის პირდაპირ მოვალეობას ქალაქის მცხოვრებთა წინაშე, ისევე ყველა საქმეში. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც თფილისის ქალაქის „მამები“ სამართალში იქმნენ მიცემულნი სხვა-და-სხვა დანაშაულის ჩადენისათვის სამსახურის გამო. ამნაირათ დანაშაული დაუსჯელი რჩება და საქმის მიმდინარეობა ისევ ამ უკულმართი მიმართულებით სწარმოებს.

და ეს არა მარტო ტფილისშია ასე; ასეა ქუთაისში, ბათომში და ყველგან. საქმის წესიერათ მოწყობას აქ ვერც დარბაისლობა შველის და ვერც დიპლომი. პირველათ გგონიათ, რომ თუ ესა და ეს კაცი იქმნა არჩეული, საქმე გაუმჯობესდებაო. მაგრამ მისი არჩევის შემდეგ მდგომარეობა ან სრულებით არ იცვლება, ან და თუ იცვლება, კიდევ უფრო უარეს ყოფაში ვარდება. რა არის ამის მიზეზი? საიდან წარმოსდგება ის, რომ გონება განათლებული ადამიანი, რომელიც სრულიად საკმარისს და შესაფერ სასყიდელს ღებულობს, კისრულობს თუ არა საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობას, მაშინვე ყირამალა ჭუჭყის მორევში ვარდება? ამის მიზეზი, რასაკვირველია, მრავალია, მაგრამ უმთავრესათ კი ორი გარემოება უნდა ჩაითვალოს: ერთი მხრით მოუმზადებლობა საზოგადოებრივ ასპარეზზე სამსახურისათვის და მეორე მხრით საზოგადო საქმის პირად ანგარიშებათ გადაქცევა. ეს პირობები ხელს უწყობს დაუდევრობას და ბოროტ-მოქმედების ჩადენას, რაც ასე გახშირდა ჩვენ ქალაქების თვით-მმართველობებში და რაც ადმინისტრაციას მეტ შემთხვევას და უფლებას აძლევს იმათ შინაურ საქმეებში ჩარევისას. როცა ხედავ ჩვენ თვით-მართველობათა მეთაურების ერთი მხრით სრულიად შეუფერებელ და უტაქტო მოქმედებას და მეორე მხრით მთელ ბოროტმოქმედებათა სისტემას, სრულებით აღარ გიკვირს, რომ ადმინისტრაცია კისრულობს სიმართლის აღდგენას იქ, სადაც ეს სხვისი პირდაპირი მოვალეობაა და სადაც ადმინისტრაციის ჩარევა ყველაზე ნაკლებათ სასურველია. ხოლო ის, რაც ბოლოს მოუღებს ასეთ უკულმართ მიმართულებას, რაც გახდის თვითმართველობას ნამდვილ საზოგადოებრივ ძალათ, თვით ხალხის განვითარებაზე, მის წინსვლაზე ჰკიდია. მხოლოთ მაშინ მოეღება ბოლო დღევანდელ ანორმალურ მდგომარეობას, როცა თვითმართველობა უმრავლესობის კუთვნილებათ შეიქმნება. ეს დრო შორს არ არის. წარმოების ძალთა სწრაფ განვითარებას ერთი მხრით და სწავლა-განათლების გავრცელებას ხალხში მეორე მხრით შეუჩერებლათ მივყევართ ჩვენ ამ მიზნისკენ.

მოსაუბრე.

სხვა-და-სხვა ამბები.

თანახმათ მინისტრთა დადგენილებისა, უმაღლესის ბრძანებით გაუქმებულ იქმნა თფილისის ქალაქის საბჭოს 26 მარტის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საბჭოს ხმოსანთა არჩევნები ერთ საარჩევნო კრებაზე მოხდეს. თფილისის ქალაქის თვითმ-რთველობას დაევალა მოახდინოს ეს არჩევნები რამდენსამე საარჩევნო კრებაზე, რისთვისაც ქალაქი დაყოფილ იქნება უბნებათ. უბნების რაოდენობის განსაზღვრა მინდობილი აქვს კავკასიის მთავარ-მართებელს.

ნაძალადევის ზოგიერთ მცხოვრებთ კოლექტიური თხოვნა შეუტანიათ თფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოში, რომელშაც თხოულობენ საიჯარო გადასახადის შემცირებას ქალაქის იმ მიწებზე, რომლებიც მათ უჭირავთ, რადგანაც ამ მიწებით სარგებლობა ბევრნაირათ მოუხერხებელია და დიდ ხარჯსაც თხოულობსო.

პეტერბურგიდან გაზ. «ცნ. ფურც.» ატყობინებენ, რომ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლათ დაუმტკიცებიათ თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე.

გაზ. „ვედ. ს.-პეტერბ. გრადონაჩალსტვა“-ში დაბეჭდილია, რომ საშინაო საქმეთა მინისტრმა შეაჩერა ჟურნალ „ნედელია“-ს გამოცემა.

ჩაის გაშენების ცდამ ქუთაისის გუბერნიაში დაგვა

ნახვა, რომ ჩაის ხე იხეირებს ქუთაისის გუბერნიაში მრავალ ადგილას, მაგ., თ. ე. ნაკაშიძის გამოცდილებით და დაკვირვებით ჩაის ხე იხეირებს შავი ზღვის აღმოსავლეთ განაპირას ჩაქვიდან დაწყებული, სადაც მოიპოვება ველური ლიმონის და ფორთოხალის ხეები, გამოდგება ამ კულტურისთვის. ჩაის ხე, ბ. ნაკაშიძის აზრით, იხეირებს აგრეთვე მაკვანეთ-ზეკანაზე, რომელიც მდებარეობს ოზურგეთის მახლობლათ, სადაც კიდევაც ᲪᲪᲓᲘᲐᲗ იმის მოშენება.

---

8 ივნისს 1901 წ. უმაღლესათ დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით კავკასიის საკარანტინო დაწესებულებანი ფინანსთა სამინისტროს გამგეობიდან საშინაო საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

---

10 აგვისტოს განსაკუთრებულმა კომისიამ, ექიმ ბროძელის თავმჯდომარეობით, გასინჯა ის ქარხნები, სადაც სხვა-და-სხვა სასმელ წყლებს ამზადებენ. კომისიამ აღუკრძალა გაყიდვა: ზემელის ძველ ქარხანას ლიმონის წყლის, გენადის ქარხანას მსხლის წყლის, ხოლო ჩუბუხჩიანის ქარხანას ყოველგვარი წყლის.

რუსეთის ტექნიკურ საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ ამ დღეებში მიიღო ცნობა, რომ მას ნება დართეს თფილისში გამოსცეს ჟურნალი „ინჟენერნოე დელო“. ჟურნალი გამოვა წელიწადში ოთხჯერ ინჟ. კარპოვიჩის რედაქტორობით.

ქალაქის ღამის თავშესაფარების კომისია ცდილობს ულარიბესს ღამის გამთევთ უფასო სადილებიც მიაწოდოს. კომისიას უმთავრესათ კერძო ქველ-მოქმედთა დახმარების იმედი აქვს.

კახეთიდან იწერებიან, რომ იქ პურის მოსავალი ცუდია, სამინდის გვარიანი, ეაზი ბევრგან გაფუჭებულა.

საერო განათლების სამინისტროსთან არსდება განსაკუთრებული კომისია, რომელიც გამოირკვევს როგორ და რა ლონისძიებით გაავრცელონ რუსული წერა-კითხვა არარუსთა შორის.

თფილისის საკომერციო სასწავლებლის ახლათ გახსნილ მოსამზადებელ კლასების საშუალო განყოფილებაში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 28 და 31 აგვისტოს. უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები უეგზამენოთ 7—9 წლამდე, ხოლო ეგზამენის დაჭერით საშუალო განყოფილებაში 8—10 წლისა. მსურველთ სასწავლებლის მთავრობას თხოვნები უნდა წარუდგინონ ორშაბათობით დილის ათი საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე.

რკინის გზების ადგილობრივ გამგეობას პეტერბურგიდან მიუღია წინადადება, რომ როცა ერევნამდე დაგებულ იქმნება რელსები, დროებით მოგზაურობა დაწესდეს, ხოლო 1902 წლის 1 ივლისისათვის ეს გზა ისე უნდა იქმნას გაკეთებული და მოწყობილი, რომ იგი გადაეცეს ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობასა.

შინაური მიმოხილვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასულ კვირის გაზეთებმა ორი საყურადღებო განკარგულება მოგვიტანეს—ერთი თფილისის არჩევნების შესახებ და მეორე ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა. ეს ორი განკარგულება არა მარტო დროთი არიან დაკავშირებული, მათი საზოგადოებრივი მხარეც ერთნაირია. ორივე ჩვენი საზოგადოების განუვითარებლობის მაჩვენებელია, დამამტკიცებელია იმისა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვძლებია ჩვენი საქმეების დამოუკიდებელი გაწესრიგება და ხშირათ საჭიროა გარეშე ძალის—ადმინისტრაციის—ჩამორევა. ამ მხრით ორივე ერთნაირათ საამწუხარო და სავალალოა, ხოლო პრაქტიკული მნიშვნელობა ორივე ახალი განკარგულებისა სასურველი და, დარწმუნებული ვართ, საუმჯობესო იქნება, როგორც თფილისის, ისე ქუთაისისთვისაც.

შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება ამ ჟამათ ქუთაისის ბანკზე, რომელსაც ახალი განკარგულებით ფინანსთა მინისტრი დაუნიშნავს მმართველს განსაკუთრებული მინდობილებით. ამ ბანკის საქმე დიდი ხანია აწეწდაწეწილია, თითქმის დღიდან დაარსებისა იგი პარტიათა ბრძოლის ასპარეზათ არის გადაქცეული და თუმცა სხვაგან ასეთი ბრძოლა საქმის ხელის შემწყობია, აქ ის მხოლოთ ხელის შემშლელი და დაწესებულების შემაფერხებელი იყო. ამის მიზეზი იყო თვით ბრძოლის ხასიათი, ნამეტურ უკანასკნელი ათი თორმეტი წლის განმავლობაში. ერთის მხრით იდგა ყოველ საზოგადოებრივ ინტერესებს მოკლებული პარტია, რომელიც მხოლოთ თავის ჟინის ასრულებას მისდევდა, მეორე მხრით ვითომ უფრო პრინციპიალური, მარა, სამწუხაროთ, მეტათ უძრავი, უშოქმედო და უჯარო ღენერლებისგან შემდგარი. სისტემატიურათ პირველი იმარჯვებდა და მეორე მარცხდებოდა; ქუთაისის «ინტელიგენცია» მუდამ ოხვრა-წუწუნში იყო, მარა საქმეს ვერ უშველა და ვერა, რის მიზეზი ისევ მისი უპრინციპობა და უტაქტობა იყო, რაც თავის დროზე ჩვენ აღვნიშნეთ კიდეც. ბრძოლის დროს ნიშანში მხოლოთ ერთი კაცი ყავდათ ამოღებული, რომლის გაშავება თუ გათეთრება შეადგენდა ორივე მხარის პლატფორმას და სწორეთ კითხვის ასე დაყენება იყო მიზეზი ერთის დამარცხებისა და მეორის გამარჯვებისა. დღეს ეს ნიშანი თავს-თავათ იშლება, პარტიათაგან დამოუკიდებელი, ბანკის მმართველი დანიშნება სამინისტროსგან და უეჭველია ეს იქნება ვინმე ახალი, შეიძლება, ჩვენი ქვეყნისთვის სრულიად უცხოჯერ არ ვიცით რა იყო პირდაპირი მიზეზი და საბაბი ახალი განკარგულებისა, არის თუ არა აღმოჩენილი რაიმე ბოროტმოქმედება ამ ბანკში, ან ვის მიერ ჩადენილი, მაგრამ ცხადია საქმე რიგიანათ არ მიდიოდა და ამან გამოიწვია ადმინისტრაციის ჩარევა და თუ რამე ბოროტმოქმედებაა ამ ბანკში, თუ რამე ზარალი მოუვიდა დამაარსებლებს და მსესხებლებს, ამის მიზეზი და პასუხის მგებელი იქნება ორივე პარტია ერთნაირათ, ხოლო „ინტელიგენტების“ უმთავრესათ. რადგან ძეორეს ჩვენ ბევრს ვეტრაფერს მოვთხოვთ მისი არა-საზოგადოებრივი ხასიათის გამო. ამ ეგრეთ წოდებული ინტელიგენციის მიზეზით ჩაუვარდა საესებით ბანკი ხელში მათ მოწინააღმდეგეთ, ამათ მიანებეს ბანკი ბ. ჩიკვაიძეს შემდეგ იმისა, რა რომ თვისი კანდიდატი ვერ გაიყვანეს მმართველათ. დიდგა ხანა უკან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროლოთ ბანკის მართვა-გამგეობისა, და ვინ იცის რა შედეგამდის მივიდა იგი! ამას ვაქცევთ ყურადღებას არა ვისიმე სასაყვედუროთ, არამედ იმიტომ, რომ სწორეთ ამ უკანტროლობით არის გამოწვეული ადმინისტრაციის ჩარევა; რაც მეტათ არა სასურველია არც ერთი დაწესებულებისათვის. დარწმუნებული ვართ მოხსენებული „ინტელიგენცია“ დღეს გამარჯვებას დღესასწაულობს, მაგრამ სადღესასწაულო ბევრი არაფერი აქვს. ჩვენ სრულებით ვეთანხმებით იმ აზრს, რომ ჩვენებური ბანკები თავისი წესდებით განსაკუთრებულ დაწესებულებას წარმოადგენენ, თავისი მოგების განაწილებით, და ამიტომ იქცევენ საზოგადოების ყურადღებას, მაგრამ უკეთ, ჩვენ ინტერესებს გარეშე მდგომი ადამიანი, ბანკს შეხედავს მხოლოთ, როგორც საკრედიტო დაწესებულებას, ჩვენი სკოლები მისთვის დიდათ გულ შესატკივარი არ იქნება და პირველი საფიქრებელი და საგონებელი ეს არის. მეორე კიდევ საგულისხმო ის არის, რომ ასეთი გამარჯვება ანუ მოპირდაპირის დამარცხება ერთხელ კიდევ ამტკიცებს მის უმნიშვნელობას ჩვენ ცხოვრებაში, ბრძოლით იგინი ფონს ვერ გავიდენ. მათი ახლანდელი გამარჯვებაც ლოლუაზე გამარჯვებას მოგვაგონებს და ისეთივე სამწუხაროა, როგორც პირველი, ე. ი. სამწუხაროა მათთვის, როგორც მათი უძლურების გამოაშკარავება და სამწუხაროა ჩვენთვის, როგორც ჩვენი ცხოვრების განუვითარებლობის მაჩვენებელი.

ასეა თუ ისე, დღეს ჩიკვაიძე საქმიდან გადაყენებულ იქნება, ამით მისი პარტიაც გაიბნევა, დაშლება, რადგან მისი შემაერთებელი მხოლოთ კერძო პირი იყო და მით ორივე პარტია უპროგრამოთ რჩება. და მომავალმა უნდა დაგვანახოს რის გარშემო დატრიალდება ბრძოლა და პარტიათა შეტაკება. სასურველია სამინისტროს ოპეკა დროებითი იქმნეს, რაც შეიძლება მალე ბანკი ნორმალურ პირობებში ჩადგეს და საქმის სათავეში სულ დამოუკიდებელი, ნამდვილი საქმის კაცები მოყვენ. და თუ საქმე «ინტელიგენტების» პარტიის ხელში გადავა, არც ეს იქნება სამწუხარო; ჩვენში ძეტათ საინტერესოა ეს პარტია საქმეშიც ვნახოთ, აქამდინ ჩვენ ახლოლოთ „ოპოზიციაში“ ვხედავდით მათ (თუმცა ბევრ ადგილს უმრავლესობასაც შეადგენს!). მაშინ ყველა ქუთათური საქმეები ამათ ხელში იქნება და ჩვენც საშუალება გვექნება ძათ მოღვაწეობას ხამდვილი მსჯავრი დავდოთ...

* * *

ბევრს ლაპარაკობენ ჩვენ'ში ჟურნალ-გაზეთები დღეს დრამატიულ საზოგადოების შესახებ და უმთავრესათ ჩვენი არტისტების ძოხუცებულებაში უზრუნველ ყოფაზე. მართლაც ვის არ ახსოვს განსვენებული ბაბო ავალიშვილის უკიდურეს სიღარიბეში წვალებით წუთი სოფლის გამოსალეძება, ვის არ ახსოვს კოლა გალუსტოვის უჩიხარი, ძაგრამ ძეტათ სასარგებლო ჩვენი სცენის საძსახური და მისი იმავე სიღატაკეძი, თითქმის ულუკმა-პუროთ სიკვდილი. ასეთია ყველა იმ მუსაკთა ხვედრი, რომელნიც ძარტო სცენას ძეყურებენ. დრამატიული საზოგადოება პირდაპირ ძოვალეა რაძე იღონოს ამ ძდგომარეობის თავიდგან ასაცილებელათ, თუ ქართული თეატრის რიგიანათ დაყენება და ხეირიანი არტისტების შემაგრება უნდა. მოვალეა ამისი მთელი ქართველი საზოგადოებაც, და ყველა, დარწმუნებული ვართ, დიდი თანაგრძობით მიეგებება ყოველ ამ გვარ დაწყებულებას, თუ დრამატიული საზოგადოება რიგიანათ დაიწყებს საქმეს, ხოლო რაც შეეხება ერთ ერთ ბ. პ. ყ—ნის მიერ «ივერიაში» ნაჩვენებ საშვალებას, ვერ ვეთანხმებით. სახელდობრ, ბ-ნ ყ—ნი ბრძანებს, რომ მალე ვასო აბაშიძის სცენაზე მოღვაწეობის 25 წელი სრულდებაო, და წინადადებას იძლევა ისარგებლოს ამით დრამატიულმა საზოგადოებამ აღნაშნულ მიზნისათვის; ჩამოატაროს ვ. აბაშიძე მთელ საქართველოში, სადღესასწაულო წარმოდგენები მართოს, და შეგროვილი ფული ფონდისთვის გადადოს, ხოლო არტისტს მისი სარგებელი აძლიოს პენსიათ. მეტათ ახირებულათ მიგვაჩნია ასეთი წინადადება. არტისტს 25 წელი უმუშავნია, ამ ხნის განმავლობაში ნახევარათ მშიერი ყოფილა, რამდენათ ეს სცენისაგან იყო დამოკიდებული, თავისი ნიჭით საზოგადოების სიყვარული მოუპოვებია და ახლა ამ სიყვარულითაც დრამატიულ საზოგადოებას სურს ივაჭროს. ეს შეუფერებელია. კმარა ოცდა ხუთი წლის განმავლობაში ადამიანის შრომით უეკვივალენტოთ სარგებლობა, ამ მისი დღესასწაულისაგან შემოსული ფული მაინც, რომელიც საზოგიდოებისაგან მისადმი მცირეოდენი მადლობის გამოცხადება იქნება, მას მიეცეს სრულათ და მან მოიხმაროს. არტისტების, და ისიც ჩვენი, იუბილეებით ვაჭრობა არაფერი საკადრისი იქნება და ეს წინადადება უნდა უარყოს დრამატიული საზოგადოების გამგეობამ.

* * *

ბევრს უწესრიგობას აქვს ადგილი ბაქოში, ბევრი საქმეა მოსაწყობი და ბევრი დასაწყები, რაც „მცირე ძმათა“ ნიეთიერ და გონებრივი მხარის მდგომარეობას და გაუმჯობესებას შეეხება. აქ სხვისთვის და სხვაზე საფიქრელათ არავის ცალია. ქალაქი ერთ დიდ სასტუმროს წარმოადგენს, ხალხი მიდის, მოდის, ბდიდრდება, კოტრდება, და რა ვიცი რა, მაგრამ ან ქალაქის ან მისი მიდამოების რაიმე მხრით გაუმჯობესობაზე არავინ ფიქრობს. არავინ ფიქრობს არც წვრილფეხა მოსამსახურეების მდგომარეობის გაუმჯობესობაზე, და ასეთ მდგომარეობაშია იქაური კანტორშჩიკებიც. მათი აუტანელი მდგომარეობა უფრო საგრძნობელი ხდება ზაფხულში და ამ დროს დაიწყებენ მათზე ლაპარაკს. აი გახეთ „კასპიდან“ რა ცნობები მოგვყავს: თითქმის ერთი წელიწადი იქნება, რაც კანტორშჩიკების სამუშაო დღის უმჯობესათ გაწესრიგებაზე აღიძრა ლაპარაკი ბაქოში და პირველ კრების შემდეგ, რომელიც ბირჟის კომიტეტის სადგომში მოხდა და რომელსაც ბევრი ნავთის მწარმოებელიც დაესწრო, დიდ აღფრთოვანებას მიეცენ ეს ბაქოს პირიები. მათი მდგომარეობის გასათვალისწინებლათ საჭიროა გავიხსენოთ, რომ თუმცა საზოგადოთ მათი სამუშაო დრო 8 საათს არ აღეძატება, მარა ნამდვილათ ისინი კანტორაში ატარებენ ძთელ დროს. ძუშაობა იწყება დილის 8 ან 9 საათზე და გრძელდება ორ საათამდე—ეს სადილობამდინ; ნასადილევს კი 5-6 საათიდან 8-9 საათამდია დანიშნული ოფიციალურათ; მაგრამ რადგან ადა-ბატონი სწორეთ ამ დროს შემოდის კანტორაში, ამიტომ ყველა წვრილფეხა მოსამსახურე იძულებულია მის წასვლამდინ კანტორაში იყოს, ვინ იცის, რა დაჭირდება ან ვის მოითხოვს და ეს გრძელდება ღამის 11 საათამდინ. ამ რიგათ ნამდვილი კანტორის მოსამსახურე კანტორაში ატა-

რებს 12-13 საათს, გარდა იმ დროისა რომელიც მას სადილისთვის ეძლევა და რომლის სხვა რაზედმე მოხმარება ყოველად შეუძლებელია. ამ გარემოებამ გამოიწვია შარშანდელი მათი პირველი კრება და მისი დადგენილება, რომლითაც სამუშაო დრო, თანახმათ დამსწრე ნავთის მწარმოებელთა აზრისა, განისაზღვრა ზამთრისათვის 6-7 საათით, ზაფხულობით კი მხოლოთ დილის მუშაობა დაინახეს შესაძლებლათ, რაც ამცირებდა შრომის დროს ორი საათით. ამ დადგენილებით განხორციელება მიენდო კრების ინიციატორს, ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარეს, ბ. ტაღიანოსოვს, რომელმაც, სამწუხაროთ, დაწყებისათანავე მიანება თურმე თავი ამ საქმეს, რადგან ერთი დიდი პირი არ დათანხმებულიყო და კრების იმედები ეველარ გაამართლა.

ახლა როგორც „კასპი“ გვატყობინებს თვითონ კანტორშჩიკებს მოუკიდნიათ ხელი ამ საქმისთვის, თვით მოუხდენიათ კრება, აურჩევიათ კომიტეტი, და იმედი უნდა ვიქონიოთ ამ გზით უფრო მალე მიაღწევენ საწადელს, ვიდრე ფილანტროპ-მწარმოებელთა დახმარებით.

უკანასკნელ კრებას სასურველათ უცვნია სრულიად მოისპოს საღამოს მუშაობა, და ყველა ექვსი საათი (ეს არის მიღებული ნორმათ) სადილობამდინ იმუშაონ. რასაკვირველია, დროს ასეთი განაწილება მეტათ სასურველია, რადგან სამუშაო დროს ორ ნაწილათ გაყოფა მთელ დღეს ართმევს ამ წვრილფეხობას და აღარ რჩება დრო არც თეატრში, არც სტუმრათ, არც კურსებზე სასიარულოთ.

კავკასიის გამოფენაზე.

«ბილეთი თქვენი»,—მკვესეთ მითხრა «გოროდოვოიმ», როცა გამოფენის ეზოში შეკუსვიე. აი გაგიწყრეს ღმერთი,—გავიფიქრე გულში,—ოოველთვის, ოოველგან და ოველასთან რა ბილეთია საჭირო. მე სახტათ დავრჩი; როდი მომგონებია, რომ ამ ჩვენ სუფეუნეში ოველაფერი რიგზე და წესზეა—ახირებული იქნებოდა, თქვენმა შზემ, ბრუნდსა და ბართალს ოველას ერთგვარათ შეეძლოს ოოველგან თავი ამოყოს. ბილეთი თან არა მაქვს, ვუპასუხე მე, შეოდოთ, თუ შეეძლება, ნება მომეცით კანტორაში მივმართო ნების ასაღებათ. «კარგი»,—დამეთანხმა «გოროდოვოი». მე იქვე კანტორაში შეეუსვიე. კანტორაში სამი ადამიანი დამხვდა—ერთი ქალი და ორი მამაკაცი. აი კიდე ხათაბალა—ვინ იცის რომელია ამათგანი აღჭურვილი ნება-რთვის მიცემის უფლებით. რასაკვირველია, მახდილოსანთან არ დამჭირდება თხოვნით მიმართვა; დარჩა ორი მამაკაცი. ზოგჯერ შესაძლოა სოლმე უფროსის გარჩევა: ან საკარძელი აქვს სხვანაირი, ან კიდე ისე როგორათაც განმარტოებულათ, უფროსულათ ზის და ვინ იცის კიდე რამდენი რა ნიშანია, მაგრამ აქ კი ისე მოუწყვიათ საქმე, რომ არ იქნა ვერ გავარჩიე უფროსი უმცროსისაგან. იქნება ორივეც უცროსი იყო, რა ვიცი. მეც ავდექი და რომელიც უფრო ახლო იყო ჩემზე იმას მივმართე.—გთხოვთ ნება მიბოძოთ გამოფენის დათვალიერებისა, მე რედაქციის წარმომადგენელი ვარ.

«რედაქციისა?»—როგორღაც გაკვირვებული კილოთი შემეკითხა ის და ერთ წუთს შეჩერდა. არ ვიცი, არ ეჯაზნიკა ჩემი რედაქციის წარმომადგენლობა, თუ ამასაც ბილეთი უნდა ითხოვა? ააშენა ღმერთმა! ბილეთი არ უთხოვია და იქვე მდგომ მოსამსახურეს უბრძანა გამოეოლოდა. მოსამსახურემაც სიამოვნებით იკისრა ჩიჩერონობა და წინ გამიძღვა.

უმეტესი ნაწილი პავილიონებისა ჯერ-ჯერობით დაუმთავრებელია და საზოგადოთ მთელი ადგილი, სადაც გამოფენა უნდა მოთავსდეს, რაღაც დამაღონებელ შთაბეჭდილებას ახდენს—მტვისგან აოსრებულ სოფელს წააგავს. რასაკვირველია, როცა ოველა პავილიონები დასრულდება და მალაგ-მოლაგდება, მაშინ სულ სხვა სანახავი იქნება. გამოფენის მთელი ადგილი კარგა მოზრდილია—ბირველათ ცენტრალურ პავილიონში შედიხართ, ეს ბეებერთელა შენობა 1,500 ოთხკუთხ საჟენს შეიცავს, ის უკვე სრულიად დამთავრებულია, აქ იქნება მოთავსებული შემდეგი განყოფილებანი: მიწათმოქმედების, მადნეულობის, ღვინის, ბოსტნეულობის, სოფლისა და სოფლური ნაწარმოების და სხვ... ერთი სიტყვით, ვისაც ცალკე პავილიონი არა აქვს, ოველა მათი ექსპონატები აქ დიდ საერთო პავილიონში მოთავსდება.

ბერძო პავილიონთა შორის, რომელთა რიცხვი 30 იქნება, თქვენ უურადღებას იპყრობს ბ-ნ სარაჯიშვილის პავილიონი. ეს პავილიონი უზარმაზარ კოდეს წარმოადგენს, რომლის მწვერვალს გარეული თხა მოქცეია ზედ, მედიდურათ განიერი შხოიანი რქები ზურგზე გადაუწყვია და ოელ მოღერებული მიდამოს დასტქერის. კოდეს ეკან კავკასიონის მთაგრეხილი ეჭნება ამართული (ეს ჯერ არ არის დასრულებული). კოდის ქვეშ გამოქვაბულია, სადაც ნაჩვენები იქნება ბოხიაკის მოძზადება. პავილიონთა შორის სიდამაზით ბერველობა უსათუოთ ბ. სარაჯიშვილის პავილიონს ეკუთვნის. უურადღებას იქცევს აგრეთვე ბაქოელ მწარმოებელთა «ვიძვა», ბოშის შზგავსი შენობა, რომლის სიმაღლე 20 საჟენს უნდა აღემატებოდეს. აქ იყნება ნაჩვენები, თუ როგორ იღებენ ნავთს დედა მიწის გულიდან; ესეც დაუმთავრებელია ჯერ, თუმცა ოველა საჭირო მანქანები უკვე დადგმულია. თავისი ორიგინალობით უურადღებას იქცევს მადიხოვის პავილიონიც; იგი აშენებულია გაუთლელ ძესის ბოძებისაგან და დახურულია ისლით, აქ იყნება ნაჩვენები ტრბოს და ოველის მოშზადება. ამ პავილიონთა შორის სხვები როგორღაც იკარგებიან, არა ჩანან, თუმცა იმათშიც ბევრი ძვირფასი პავილიონია. ტოტა იქეთ მოშორებით კოსტა და დამაზი თეატრია აშენებული. «აი, ოველაზე უფრო საინტერესო ამბავი აქ იქნებ», - აღტაცებით მითხრა ჩემმა ჩიჩერონემ. როგორ შეთქი, ვკითხე; «განა არ იცით, რომ პარიკიდან ერთი მეტათ საუცხოო გემოვნების მქონე არტისტს მანსოხეტკები მოეყვანა? იმათი ფესვების თამაში მეცხიერსაც კი ჭკვაზე შეშლისო, ამბობენ». ძალიან კეთილი! სულ სასხისისა და შავი ქვის ცქერას, რამაც ისეც მოგვაბეზრა თავი, პარიკანების ფესვის თამაშიც ვნახოთ.

გ—ო.

კორესპონდენციები.

ᲔᲬᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ (ქუთ. მაზრა). ეწერის საზოგადოებას შეადგენს შემდეგი სოფლები: ეწერი, იანეთი, ჯიაგითუბანი, ოჭოფა და ტოტალოდენი ნაწილი დაბა სამტრედიისა. ამ საზოგადოებაში ირიცხება ექვსას კომლამდე მცხოვრები, რომლის უმრავლესობას შეადგენს გლესობა. ეს საზოგადოება გაშენებულია მარჯვენა ნაპირას მდ. რიონისა და ძევს ოთხი-ხუთი ვერსის მანძილზე დ. სამტრედიიდან. თითქმის

ოცდასამი წელიწადია, რაც ამ საზოგადოებაში არსებობს ერთ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი. არა ერთი და ორი შიერი მოიძებნება სხვა-და-სხვა ქალაქებში, რომელთაც ამ სასწავლებელში მიუღიათ ტოტოდენი სწავლა-განათლება და რომლებიც ამ ტოტოდენი სწავლის შემწეობით თავს იჩენენ. დღეს ამ სასწავლებელში სწავლობს სამოცდაათამდე მოსწავლე და ბევრი ამ სასწავლებელში კურსდამთავრებულ მოსწავლეთა მშობლები მოდიან და თხოულობენ: «ბავშვი მინდა ამა და ამ ალაგს დავაყენო, უმოწმობოთ არ ღებულობენ და მოწმობა გვიბოძეთ», და კიდევაც მიაქვთ, მაგრამ ზოგიერთებს მაინც ვერ შეუგნიათ, თუ რამდენათ საჭიროა და სასარგებლო ტოტოდენი სწავლა მიაღებიოს თავის შვილს. წინა წლებში ორ-ჯერ-სამჯერ იყო მოწვეული საზოგადოება ადგილობრივ მამასახლისის შემწეობით და ჭმონდათ მოლაპარაკება ეს ერთკლასიანი სასწავლებელი გადაეკეთებიათ ორკლასიანათ, რომლის შენახვაშიაც სამინისტროც კი აღმოუჩენდა დასმარებას, მაგრამ რამდენმე შიერებმა თავისი უყირადით: «არ გვინდა, არ შეგვიძლიაო» სხვაც ბევრი აიყოლიეს და ხელი შეუშალეს ამ სასარგებლო საქმის სასურველათ დაბოლოებას. 1900 წელში სოფ. ინუთმა დაიარსა კერძოთ ერთკლასიანი სასწავლებელი, რომლის შენახვაში სამინისტრომაც აღმოუჩინა დასმარება. მაგრამ უფრო სასურველი იქნება, თუ საზოგადოება შეიგნებს, რამდენათ მეტ სარგებლობას მოუტანს მათ ორკლასიანი სკოლის დაარსება, როგორც სწავლის მეტი შეძენით, ისე სხვა-და-სხვა უფლებების მინიჭებითაც. დღემდე თუ არა ყოველ ორკლასიან სასწავლებლის კურსდამთავრებულთ ეძლეოდათ შეღავათი საბუდრო ბეგარის ვადის შეკოლებისა, დღეს კი, მთავრობის ახალი განკარგულებით, ყოველ ორკლასიან სასწავლებელ კურსდამთავრებულთ აქვთ მინიჭებული ეს უფლება.

20 იულისს სოფ. ეწერი და ჯიგითუბანი დღესასწაულობს წმ. ილიას დღეობას. რაც უნდა ღარიბი ოჯახი იყოს არ შეაძლებს ათი და ოცი მანეთი თუნდა არ დაესარჯოს ამ დღეობის მოსასდელათ და ტოტოდენი შეძლებული ხომ მეტსაც სარჯავს. მრავალი იმისთანა შიერიც მოიძებნება, რომელიც ვალს იღებს ამ დღეობის გადახდისთვის და ნავალები თუნდაც ამასაშინდლდება თავის სტუმრებს, რასაც, ვინ არ იცის, რა საშუსარო შედეგი მოყვება ხოლმე.

8 იულისს სტუდ. ბ. ბ. კასიანის მეთაურობით ადგილობრივმა მამასახლისმა მოიწვია ამ ორი სოფლის სალხი. ბ. ბ. კასიანმა აუხსნა სალხს ყოველივე ამ დღეობის ტუდი მიმართულება, ტუკილა-უბრალო სარჯი და ურჩია, რომ დაედგინათ ოქმი და ეს დღეობა მოსპოთ და ამის მაგიერათ დაარსებინათ «ბანკი», რომელიც მათ მოუტანდა დიდ სარგებლობას. ბანკის დაარსებას მომეტებული ნაწილი აღტაცებით მიეგება, ხოლო რაც შეეხება დღესასწაულის მოსპობას, ზოგი დათანხმდა და ხელი მოაწერა ოქმის ფურცელზე და ზოგმა კი უარი განაცხადა. იმედია ბ. კასიანი თავის კეთილი განზრახვის შესრულებას მაინც ეცდება.

ა. ნაცვალი.

ᲡᲐ. ᲑᲔᲠᲨᲣᲔᲗᲘ (ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ). ამწკანდა თუ არა წელს მინდორი ჯეჯილ-ბალასით, მაშინვე დადგა გვალვა, რომელმაც ისე მოუშვნიტ-მოტუსა თითქმის ჯეჯილი, რომ ჩვენებური გლეხი ასო-წარკვეთილებაში კარდებოდა; ბოლოს ამინდმა ტოტა არ იყოს ხელი შეუწყო ჭარნასელის კეთილ-დღეობას, მოასულიერა მინდორი და გლეხსაც გულში იმედი ჩაესახა; მაგრამ ჯეჯილობის დროს დაჩაგრულს ნათესს მტირე ნაყოფი მოაქვს: მარცვალი ბეიტი აქვს და გამოსავალიც ნაკლები უჩანს; რაც შეესება ბენახის მოსავალს, იგი უფრო ნაკლებ იმედებს იძლევა: მტევანი შესხმა კაზზე და ბოლოს ძირს ჩამოიყოშვნიტა; ხესილს უკვალი სეტუკამ გაურეკინა და ასე ეველა-მსრიგ გლეხის გული იმედოვნებს მხოლოთ იმ გორულ კაჭრებით, რომელნიც ზამთარში მანეთათ თითო კოდ ქერს უგეთავენ ხოლმე გლეხებს.

გ. ბერშეული

ᲗᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ (ᲒᲣᲠᲘᲐ). იტალიელმა მოგზაურმა ლამბერტმა აღნიშნა «კოლხიდას ისეთი ნოტიო ჰავა აქვს, რომლის მსგავსი არსად არ მოიპოვებაო». გურია ძლიერ ნოტიო ქვეყანაა, მდიდარი ჭაობებით. ამ გვარ ადგილებს ეტანება ერთნაირი მწერები — ბლასმოდიები, რომლებსაც ერთი ადამიანიდან მეორეზე ადვილათ გადაადგეთ «მალარია». იმიტომ შესვდებით გურიაში ისეთ ადამიანს, რომ მალარიით ავათ არ იყოს. გადათვალიერეთ ათეულებში რეცეპტები, დაეკითხეთ აქაურ გამოცდილ ექიმებს და თქვენ დარწმუნდებით რომ წამლობის 90% მიმართულია მალარიის ან მის შედეგების წინააღმდეგ. ამ სენთან უმთავრეს საბრძოლველ იარაღით ექიმებს სუფთა და მშრალი ჰაერი მიაჩნიათ და აი ამიტომ მათის რწმენით, შეძლებული გურული თუ რამე გაიჩნია, დადგება თუ არა ზათხული, ტოვებს ბარს და მთა-გორაკს მიეშურება. ამ მხრივ გურიაში ორი უფრო შესანიშნავი მთა არის «ბასმარო», საცა მეგარკეთა რიცხვი 1500-მდეა და «ნაფოტსკარა» (გურია-აჭარის მთის ნაწილი). ჩვენ გვინდა მეითხველს ორიოდე სიტყვა ვაუწყოთ ამ უკანასკნელის შესახებ, რადგან მრავალთათვის ეს ჯერ კიდევ უცნობი ადგილია.

ნაფოტსკარა მდებარეობს ქ. ოზურგეთიდან 16 ვერსის მანძილზე (5 საათის სავლელი გზაა) და კეკეთვნის შემოქმედის საზოგადოებას, რომლის ბენებრივ სიმდიდრე და მოსერსებული მდებარეობა არა ერთხელ აღენიშნავთ. ამ მთის სიმაღლე 6600 ფუტს უდრის. სულ ოთხი წლიწადი იქნება, რაც ამ მთის ჰაერით სარგებლობენ და რადგან ეს სარგებლობა ძლიერ სასარგებლო დარჩა, მეგარკეთა რიცხვი ყოველ წლივ მატულობს. ამ ყამათ აქ ოცზე მეტი შვეიცარიელ ოჯახის სასლებია 200-მდე მცხოვრებლებით. ამას გარდა 40-მდე ქართველ-მესულმანთა ქოხებია 500 მცხოვრებით. სუფთა და მშრალი მთის ჰაერი ნამიან ზღვის ჰაერთან შეზავებულ-შეზომიერებული, ლამაზი, თვალწარმტაცი ბენება, რომელიც ავათმყოფს სიცოცხლისკენ იზიდავს და აიმედებს — აი ეველა ის, რაც ასე კარგათ მოქმედებს ადამიანის ჯანსაღობაზე... ამ ოთხი წლის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ციეებით ავათმყოფთათვის ამ მთის ჰაერი მეტათ სასარგებლოა. მაგრამ უბედურება ის არის რომ ამ მთაზე ასასვლელი გზა ძლიერ უვარგისია, ასე რომ სუსტი ავათმყოფის აყვანა შეუძლებელია, და ამიტომ ბომის მთა ჰკარგავს ყოველ მნიშვნელობას, როგორც აგარაკი. ადმინისტრაციის წინადადებით წელს გზის შეკეთებას შეუდგენ. თავის თავათ იგულისხმება, რომ ამ გზის შეკეთება მათ უნდა ეკისრნათ, ვინც ამ მთაში მეტათ საჭიროებს და მით სარგებლობს, ე. ი. მიწის და სასლის პატრონებს; გლეხკაცობა კი აქ რა შუაშია. მაგრამ დღეს კი ამ გზას მას აკეთებინებენ. ეს ჩვენ უკანონოთ მიგვაჩნია. დიდი სანი არ არის მას შემდეგ რაც გლეხკაცობა გაანთავისუფლეს გზების კეთების ბეგარისაგან; ეს შეესება სასელმწიფო გზებს; ამიტომ მით უფრო ნება არა აქვთ კერძო გზებზე ამუშაონ ხალხი. უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ მეპატრონეებს

ერთ დროებით გადადგათ ერთი წლის შთიდგან შემოსავალი, რომელიც 1200-მდე ადის. ამითი თავის ნასარგებს შემდეგში ერთი ორათ ამოიღებდნენ და საბრალო სალსი კი, რომელიც წყალ-დიდობისა და ნიაღვრისაგან წელს ძლიერ დაზარალებულია, ამ ჯავან-წყვეტას გადარჩებოდა. ან და ერთი ვიკითხოთ რათ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ გზის გაკეთებაში თავად-აზნაურობამ და სასულიერო წოდებამ? ისინი სომ, როგორც ნივთიერათ უფრო შეძლებულნი, ამ მთის ჭალრით სხვაზე მეტათ სარგებლობენ! მაგრამ საბუსაროთ ეს ასე არ არის.

მოკეთე.

რუსეთის ცხოვრება.

საათანადო მთავრობას გადაუწყვეტია დაუოვნებლივ შეუდგენ იმის საზრახით გამოკვლევას და შესწავლის, თუ ამ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში როგორ განვითარდა რუსეთში საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობა. მსედველობაში აქვთ გამოარკვიონ ფაფრიკების და ქარხნების მედმივ მუშათა ნამდვილი რაოდენობა, და აგრეთვე რაოდენობა იმათ სულფასის და ცხოვრების პირობები.

❀ უმაღლესმა მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ მომავალი წლიდან ოინლიანდიის საშუალო სასწავლებელში შემოღებულ იქმნას რუსული ენის სწავლება.

❀ უმაღლესათ დამტკიცებული დებულებით შემდეგი წესია შემოღებული იმ კაპიტალის დასასარკვავი, რომელიც უნდა მოხმარდეს ავათმყოფ და დასახიჩრებულ მუშებს. ძლიერ გაჭიანურებულ მუშებს, რომელთაც შრომა აღარ შეუძლიათ და იმათ ოჯახობას ეძლევა შემწეობა იმ კაპიტალიდან, რომელიც შემდგარია ჯარიმებისაგან, თანასმათ შენიშვნისა 152 და 155 სტ. სამრეწველო წესდებისა. შემწეობა შეიძლება იყოს ერთნაირი და კვდით, არა უმეტეს სამი წლისა. შემწეობა, რომელიც მიეცემა მუშას, არ შეიძლება იმის ვალს მოხმარდეს. შემწეობას ნიშნავს ოლქის საფაბრიკო ინსპექტორი თანასმათ განსაკუთრებით ინსტრუქციისა, რომელსაც შეიმუშავებს ფინანსთა მინისტრი სამანო მინისტრთან ერთათ.

❀ სარატოვის რკინის გზის სასელოსნოების მუშებს გადაუწყვეტიათ ერთი სამუშაო დღე სახალხო თეატრის სასარგებლოთ. ეს შეწირულება უდრის 2500 მანეთს.

❀ საიმპერატორო ეკონომიური საზოგადოების პრეზიდენტმა, გრაფმა გეიდენმა მიმართა უკელა გუბერნიის საერობო გამგეობას შემდეგი წინადადებით: საზოგადოებას სცემს პირველათ დაწერილებით გამოკვლევას პირველდაწყებით განათლების შესახებ მოელ რუსეთში. წინადადებაში ნათქვამია, რომ ეს რთული საქმე უკვე მთავრდება. გამოკვეულებულია ორი ტომი ამ გამოკვლევისა, მესამე დაბეჭდილია, მეოთხე იბეჭდება. ოკეანეგვარი კითხვა შესახებ ერობათა მოღვაწეობისა საკალოდ საქმეში გამორკვეულია. იმ დახმარებათა მეოხებით, რომელებიც აღმოუჩინეს საზოგადოებას ერობათა წარმომადგენლებმა, ამ შრომაში შეტანილ იქმნა მრავალი ფაქტები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საახალხო განათლებისთვის. ამ გამოცემის სარჯი 40,000 მანეთს აღემატება გარდა იმ შრომისა, რომელიც უსასყიდლოთ გასწიეს ამ გამოკვლევის ავტორებმა. დღეს საზოგადოებას არა აქვს საშუალება ამ შრომის დასამთავრებლათ და ამიტომ იგი მიმართავს საერობო გამგეობათ, რათა მათ დახმარება აღმოუჩინონ.

❀ საქმიო დეპარტამენტი იმუშავებს პროექტს ფაბრიკა-ზავოდებში მუშათათვის სამგურნალო დახმარების შესახებ. არსებული წესით ფაბრიკის მეპატრონე ვალდებულია მისცეს საშველება მუშებს უსასყიდლოთ ისარგებლონ სამგურნალო დახმარებით. პროექტი ავალებს მათ მიხედვით მუშათა რიცხვისა მოიწვიონ ოკეელ კვირა დანიშნულ დღეებში ექიმები. საცა ქალები მუშაობენ დედათა-სნეულების სპეციალისტები უნდა იქნენ მიწვეულნი.

❀ კერძო რკინის გზებს შეუწირავთ 14 ათასი მანეთი ბორეში რკინის გზების დავრდომილ მუშათა თავშესაფრის ასაგებათ.

❀ რკინის გზათა სამმართველოს განკარგულებით უკელა რკინის გზაზე მოსამსახურეთ, გარდა ამწონასა და საწყობის კამგეებისა, დაკავდათ ტელეგრაფის საქმეც შეისწავლონ, რადგან ზარათა აქვთ საადგურებზე ტელეგრაფისტების თანამდებობათა გაუქმება და მორიგეობის სხვა მოსამსახურეებზე გადატანა. ტელეგრაფის საქმის უცოდინართ მომავალში არ მიიღებენ სამსახურში.

საზღვარგარეთ.

ინგლისი. საკვირველია, რომ ინგლის-ტრანსვაალის ომი ისე არასად არ დაუგმიათ, როგორც თვით ინგლისში ინგლისელებისაკენ. მაგრამ უფრო გასაკვირალი ის არის რომ ამ ომს კიცხავს და გმობს ყარაჩინებული სამხედრო პირი, როგორიც არის მოხუცი ფელდმარშალი ნეკილ ჩამბერლენი. იგი ზიზღით ისესენიებს ინგლისელების მიერ სურსათის განადგურებას, დამბების დაქცევას, ფერმების დაწვას და დეკანტაცის დატუვებას.

ასეთი გაკიცხვა არა ერთი და ორი იბეჭდება ინგლისურ გაზეთებში, რაც მოწმობს იმას, რომ ეს ომი მეტათ შემარცხვენელი ხდება ინგლისის სალსისთვის.

— ამ დღეებში ინგლისის სოციალისტურ პარტიაში ერთი საგულისხმო ამბავი მოხდა: ერთ ამ პარტიის დამაარსებელთაგანმა, ჭანრი გაინდმანმა, პარტიას თავი დანებეს. ოცდათი წლის განმავლობაში იგი ითვლებოდა ინგლისის სოციალურ-დემოკრატიული ფედერაციის წევრთ. თავის დანებების მიზეზი გაინდმანმა გახმარტა წერილში ფედერაციის მდივნის სახელობაზე. წერილში იგი ამბობს, რომ ინგლისის მუშებში მან ვერ ჭეშვა თავის გარეცლებების და კლასიურ განსეთქილების შეგნებაზე. «მე სამშინდათ გაკვირვებული ვარ ჩემ თანამეშამულე მუშათა უგიცობით და ავტიით. ჩვენი პროპაგანდის შედეგმა, რომელსაც ჩვენ ასე დიდხანს ვეწოდით, მე სრულიად იმედი დამიკარგა».

— 30 ივლისს, ინგლისის სამინისტრო პალატაში დამარცხდა. ამ დამარცხებით ამჯარათ გაიგო უკელამ, რომელი კლასის ინტერესისკენ აქვს გული სამინისტროს და ვისი მსახური ეოფილა ესლანდელი მთავრობა. ის მუსლი, რა მუმუსლის განხილვის დროსაც სამინისტრო დამარცხდა, ბამბის ფაბრიკებში მომუშავე ქალებსა და ბავშვებს შეეხება. ამ მუსლის ძალით შაბათობიდან, თუ მეშაობა დილის 6 საათზე დაიწყო, შუადღის 12 საათზე უნდა თავდებოდეს. პირველათ ეს მუსლი ისე იყო დაწერილი, რომ შაბათობით 1-ლ საათზე უნდა თავდებოდეს მუშაობა, მაგრამ როცა პალატის კომიტეტმა ეს კანონი განიხილა, ერთი დანკაშირელი მეფაბრიკე ჭარვუდის მოთხოვნით შესცვალეს და დადგინეს, მუშაობა 12 საათზე თავდებოდესო. უნდა შეგნიშნოთ, რომ კაბინეტის მინისტრმა რიტჩიმ დიდი წინააღმდეგობა გაუწია კომიტეტს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოულობდა, 1 საათზე უნდა თავდებოდეს მუშაობა. 30 იულისს ეს შეცვლილი კანონი პალატას წარუდგინეს. პალატაში დეპუტატმა რენშაუმ, რომელიც საფაბრიკო კანონების ყოველგვარი რეფორმის მტერია, ურჩია პალატას 12 საათის ძველი ისევ 1 საათი დაენიშნოთ მუშაობის შეწყვეტის კვალთა. ორატორმა აღნიშნა, კანონით დანიშნული სამუშაო დღის კვალ მთელი 25 წლიწადი უცვლელათ არის; შრომის საფოფეერებამ კი ამავე დროს 20 პროც. მოიმატა. სამუშაო დღის შეფოკლება იმდენათ მოუსდება შრომას, რომ მისი რაოდენობის დაკლებას მნიშვნელობა აღარ ექნება.

შემდეგ მინისტრმა ბიტჩიმ იდაპარაკა, ესეც რენშაუს აზრს ეფეს. ის განაცხადა: «ეს კანონი 2 პროც. შეამცირებს ხუმუშაკარს, ფაბრიკის მრეწველობისათვის კი 2 პრ., ხან და ხან ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ შეიძლება ფაბრიკები სულაც დაიკეტოსო». ამიტომ მინისტრმა ურჩია პალატას, რენშაუს აზრი მიეღოთო, ამასთანავე დაუმატა: მუშები იმიტომ თხოულობენ შაბათობით საქმის აღრე გათავებას, რომ თამაშობა სურთო. ამაზე ჭარგუდმა საპარლამენტოდ უპასუხა მინისტრს: ეგ მუშების საქმეა, როგორც უნდა, ისე მოიხმარონ თავისუფალს დროსაო.

კამათის შემდეგ დაიწყეს კენჭის ყრა: ირლანდიელებსა და ლიბერალებს ლანკაშირის და სხვა ოლქების 20 გამოჩენილი დეპუტატი კოხსერვატორი მიეშველა. ბოლოს აშკარა გახდა, რომ საბინისტროს უმცირესობა მიეშველა: ოპოზიციამ ძლიერი ტაში ცემა ასტეს. ირლანდიელები წამოხტენ, აღტაცებით ძლიანებს იქნევდნენ და ბანისტრებს შეწყრეთ დასტიხოდნენ: «ნამდვილი გაძარცვა!» — ეკითხა სოციალისტი ბერსი. «სამსახურიდან გადადექითო!» — ეკითხა ესენი. როცა პალატა ტოტოდნათ დაწყნარდა, ირლანდიელი დეპუტატი ბილი წამოდგა და ურჩია პალატას, კრება გადავდოთო, ე. ი. ვთხოვოთ საბინისტროს, საბასურიდან გადადგესო. პალატის თავმჯდომარე არ დათანხმდა. ბილის წინადადებისთვის კენჭი ეყრათ. ძრთალია, ბოლოს საბასურიდან არ გადადგა, ბაგრამ პალატამ ის კარგი გაკვეთილი მისცა.

საფრანგეთი. არა ერთხელ გვქონია მოხსენებული, რომ საფრანგეთი ორ დიდ პარტიათ არის გაყოფილი, ერთი რესპუბლიკის დამცველია, მეორე ძველი მოწინააღმდეგე; საზოგადოება უფრო და უფრო ხეირს აქცევს ეკანასკნელს და ხელ, ბაგრამ ბევრითა ძალიანვე დემოკრატიასაკენ იწევა. ეს დაგვიმტკიცა გენერალური მატჩების არჩევნებმაც. ამ არჩევნებში და საზოგადოთ უკანასკნელ ხანებში დემოკრატების გაძარცვებაზე დიდ იმედებს ამყარებს ყორესი. მისი აზრით ბომაკალ საპარლამენტო არჩევნებიც დემოკრატიის გაძარცვებით დასრულდება და პარლამენტში ისეთი რადიკალური უმრავლესობა შედგება, რომ შესაძლებელი იქნება ლეონ ბურჟუასა და ბელტასის საბანისტროს შედგენა. საფრანგეთის საზოგადო აზრის გარდიკალების ერთ ძაბჩენებელათ ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ კონსიდერანის ძეგლის გახსნას დესწრო საბუღრო მინისტრი ანდრე, რომელმაც წინააღმდეგ თავისი წინამოადგილეთა ჩვეულებისა ასეთ შემთხვევაში, მხოლოთ სოლიდარობის პრინციპის ნიშნულობაზე იდაპარაკა, მისი ცოცხრებაში განმტკიცების შესახებ, და ერთი სიტყვითაც არ მოუხსენებია ჯარი და მისი მნიშვნელობა.

საინტერესოა ყორესის აზრი საფრანგეთის მუშათა პარტიის თანამედროვე ტაქტიკაზე. ამაში როცა დროს გადასული პარტიები — ბონაპარტისტები, ორლეანისტები და კლერიკალები — ძალმომრეობის გზას ადგანან, ოოველი საშუალება შესაფერათ მიაჩნიათ, ოღონდ კი რეაქციამ გაიმარჯვოს, და მიზანს მიაწიონ, როცა ისინი თავის იარაღს მხოლოთ შეთქმულობაზე და ამბანებაზე ამყარებენ, მუშათა პარტია, როგორც საამრთლიანათ შენიშნა ყორესმა, რეპუბლიკის დამცველთა სათავეში დგას. ამაში უფრო და უფრო მტკიცდება რწმენა, რომ მისი მიზნის მიაწევა შესაძლებელია საზოგადოებაზე მმეიდობიანი ლეგალური (კანონიერი) ზეგავლენით, უფრო საზოგადოებრივი ეკოლიუციით, ვიდრე რევოლიუციით. ყორესის აზრით, საფრანგეთმა გაიარა კატაკლიზმებისა და რევოლიუციების სანა, და მუშათა პარტიაც სხვა გზას უნდა დაადგეს. აშკარაა, ამბობს იგი, რომ თანამედროვე პირობებში პროლეტარიატს არ შეუძლია იმედი იქონიოს თავისი სურვილების ამ გზით განხორციელებისა, მან უნდა მიიღოს მსედველობაში, რომ საფრანგეთში თან და თან ფეხს იკიდებს რესპუბლიკანური კანონიერებით წინსვლის აზრი და ამის გარეშე მოქმედება შეუძლებელია. ერთის სიტყვით, ყორესის აზრით, ბევრი კეთილმდებლობითი ცვლილებაა საჭირო, რაც შეიძლება ძალე, და რადგან მათი განხორციელება შესაძლებელია მხოლოთ ბურჟუაზიის ზოგიერთ ელემენტების — რადიკალების დასმარებით, ამიტომ მუშათა პარტია დროებით უნდა შეუკავშიროს იმათ.

გერმანია. მომავალ ოქტომბერში ფრანკფურტში — მაინზე გაიხსნება სოციალურ და კომერციულ მეცნიერების აკადემია, რომელიც შეტათ განსხვავებული ტიპის სასწავლებელს წარმოადგენს. ძლიერ სასარგებლო ცოდნის შეიძენენ აქ როგორც კომერსანტები, მრეწველები, ინჟენერები, ისე სასელმწიფო და ქალაქის მოსელები, ექიმები, მოსამართლეები, მასწავლებლები და სხვა პროფესიის პირები. აკადემიაში ქალებსაც მიიღებენ. სასწავლო საგნები დაეთვალა რამდენიმე ჯგუფათ. პირველს ჯგუფს უფრო საზოგადო სასიათი ექნება: აქ არის პოლიტიკური ეკონომია, სოციალური პოლიტიკა, საფინანსო მეცნიერება, სავაჭრო, საძოქალაქო, სასელმწიფო და ად ინისტრატიული საამრთალი, თანამედროვე ენები, ტექნოლოგია და სხვ. მეორე მხრით არის ვაჭრობასთან დაკავშირებულ პირთათვის საჭირო საგნები: ბუღგალტერი, საკომერციო კორრესპონდენტი, ანგარიში, გეოგრაფია, ვაჭრობის ისტორია და სხვ.; დანარჩენი ჯგუფები უფრო სპეციალური სასიათისაა. გარდა შედმიეი მსმენელებისა აკადემიაში აღგილი ექნებათ თავისუფალ მსმენელებსაც. მასწავლებლებათ მოწვეული არიან უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები და დოცენტები. აკადემია დაარსა ქალაქმა და მისი სარჯით იქნება.

ამერიკის შეერთებული შტატები. ფილადელფიის წარმოების მუშათა გაფიცვა თანდათან ძლიერდება. ამ დღეებში გაძპერსს, «ამერიკის მუშათა ფედერაციის» პრეზიდენტს, თათბირი ჰქონდა შეფფერთან, რასაც მოუკა ოფიციალური განცხადება, რომ «ფედერაცია» აღმოუჩენს გაფიცულ ტრედ-უნიონს შეძწეობას როგორც ხნეობრივათ, ისე ფულით, და თუ საჭიროება მოითხოვს იმოქმედებს მასთან ერთათო.

იტალია. ქ. რომში ტრამვაის მოსამსახურეების საყოველთაო გაფიცვა. გაფიცულები კრებებს ასდენენ. ნეაპოლშიაც ამისთანავე გაფიცვა მოუსდენია. ამბობენ გაფიცვა მილანშიაც მოხდებაო.

გაფიცვის პირველ დღეს რომში კაზონები პოლიციელებს დაუკვდათ.

ოსმალეთი. ამ ქვეყანათ საფრანგეთსა და ოსმალეთს

შორის დიდი განსეთქილებაა ჩამოკარდნილი, რომელიც ადვილი შესაძლებელია სამშვიდობოთ არ გათავდეს. სოფრანგეთის ელჩმა სტამბოლში კონსტანმა რამდენიმეჯერ წარუდგინა სულთქარს ულტიმატუმი. სულთქარი კი თავის ძველ პოლიტიკას ადგას: ე. ი. დაპირდება მსოლოთ იმიტომ, რომ სულ წინააღმდეგი ჩაიდინოს. ასე ატუალებს სულთქარი მთელ ევროპას რამდენიმე წელიწადი: იგი მუდამ პირდება ევროპას, რომ ოსმალეთის საზღვრებში მცხოვრებ ქრისტიანებს ადარ ამოვიყლეტინებ ჩემ ჯარებს, რეფორმებს შემოიღებო. მაგრამ სადაც ან ერთი, ან მეორე. ეს რამდენიმე თვეა მაკედონიის მცხოვრებთა ერთი ნაწილი, ალბანელები, ოსმალეთის მოსულეთა დახმარებით ულეტეს ამავე პროვინციის ქრისტიანებს. პასუხის გამცემი კი არავინ არის. უკანასკნელი ტელეგრამა იუწყება, რომ სოფრანგეთის ელჩმა სულთქარის უფროს მდივანს შეატყობინა, რომ ოსმალეთის მთავრობასთან ოვალეგვარ კავშირს ვუეტო. ვნახოთ, როგორ დაბოლოვდება ეს განსეთქილება.

სამხრეთ-აფრიკა. ბურები ამ ბოლო დროს მეტათ გამხნევდენ, ბევრ ადგილს დაეცენ ინგლისელებს და დაუპარტყეს კიდეკეც. როგორც უკანასკნელი ტელეგრამები გვატყობინებენ, მიდდელბურგის ახლო დიდი შეტაკება მომხდარა ბურებსა და ინგლისელებს შორის, რომელშიაც ბურებს გაუმარჯვიათ; ინგლისელების მიერ წაუკანილი ტყვეები ბურებმა ისევ უკანვე დაიბრუნეს.

— გაზ. «ეკლერის» სიტყვით, რამდენიმე თვის განმავლობაში კაპის ოლქში უველა ჭოლანდიელი ბურები აჯანყებიანო. ‘ქაძის კაპელებს კანონიერი საბუთი არა ჭქონდათ ბურებს მიმსრობოდენ. ახლა კი, მას აქეთ, რაც კაპის კონსტიტუცია გაუქმეს და მთელ კოლონიაში სამხედრო წესები შემოიღეს, კაპელებს სრული კანონიერი საბუთი მიეცათ აჯანყებულებს ძიებსრონ, მით უმეტეს, რომ კაპის პარლამენტი დახიმნულ დროს არ შეკრიბესო.

სამშობლოს სიყვარული.

მე სამშობლო მისთვის მიყვარს,
რომ იმედებს არ მიკარგავს:
სადღის გულში ნათლათ ვხედავ,
რომ წასული აწმყოს არ გავს;
წინ სვლის გზაზე მიიჩქარის
და არ მოსდის ძალი თვალში,
მსხვერპლს არ ზოგავს, ოღონდ მიზანს
მიაღწიოს მომავალში.

ჭეშმარიტის კანონს, გარდაუვალს,
ჩვენი მსარეც შესდს მოუდრეკს
და ტაძრიდან ფარისეველთ
შოლტით სელში სდევნის, გარეკს.
მე სამშობლო მისთვის მიყვარს,
რომ მას ძალუძს ბნელთან ომი.
გაუმარჯოს წინ სვლას, პროგრესს!
ძირს ბნელი და ბნელის მდომი!..

N.

გაპიცხვა

(მ. გორკისა).

სოფლის ქუჩაში, თეთრ ქოხებ შორის რაღაც უცნაური პროცესსია მოჩანს და მოისმის ველური ღმუილი.

მიდის ბრბო ხალხისა, მიდის ჯგუფათ და ნელა,— დიდ ტალღასავით მოძრაობს, მის წინ კი თავ-ჩაქინდრული, სასაცილო-ხორკლიანი პატარა ცხენი მიაბიჯებს, თითქოს სურს ცხვირი გზის მტვერში ჩაყოსო, ხოლო როდესაც უკანა ფეხს ადგამს, მისი ტანი მთლათ მიწაზე ეშვება, გეგონება, ეს არის დაეცემაო.

ურემზე მიბმულია თოკით ხელ-შეკრული თითქმის სრულიად ახალგაზდა ქალი, მთლათ დედი-შობილა; ის რაღაც უცნაურათ მიდის,—ბატივით გადად-გადმოდის, მისი სქელი, გაწეწილი, მუქ-ქერა თმით დაფარული თავი მაღლა აწეული და ცოტა უკან გადახრილი, თვალები ფართოთ გაუხელია და სადღაც, შორს უაზროთ იცქირება, მაგრამ ამ ცქერაში არაფერი არაა ადამიანური. მთლათ მისი სხეული დაფარულია რგვალ და მოგრძელურჯ და წითელ წერტილებით, ქალწულებრივი მკერდის მარცხენა ნაწილი განგმირული აქვს და ჭრილობიდან სისხლი გადმოსჩქეფს... მუცელზე და მარცხენა ფეხზე ქვევით მუხლებამდე იგი წითელი ზოლივით მოჩანს, წვივზე კი მტვერი შეჰკრობია და ის ფარავს სისხლს. გეგონებათ ამ ქალის სხეულიდან ვიწრო და გძელი ტყავის ზოლი აუძვრიათო, ხოლო მუცელი კი ისე უცნაურათ აქვს დასივებული და მთლათ გალურჯებული, თითქოს ზედ დიდხანს კეტით უცემიათო.

ამ ქალის პატარა, მოყვანილი ფეხები ოდნავ ეკარებიან მტვრიან გზას, მთელი სხეული საშინლათ მოკაკვია და ძნელი გამოსარკვევია, აქნობამდის კიდევ როგორ ჩერდება იგი ჩალურჯებულებით დაფარულს ფეხებზე, რატომ არ დაეცემა მიწაზე და ხელებით ურემზე დაკიდებულს ცხენი არ მიათრევს მტვრიან და თბილ მიწაზე...

ურემზე კი მაღალი თეთრ-პერანგიანი კაცი დგას, მისი შავი ქუდიდან გამოჩანს ღია ქერა თმა, რომელიც შუბლს შუაზე უყოფს; ერთ ხელში მას აღვირის ტოტები უჭირავს, მეორეში შოლტი და რიგ-რიგათ უტყლაშუნებს: ხან ცხენს ზურგში, ხან პატარა ქალის, ისედაც ადამიანურის სახის დაკარგულ სხეულს. ქერა კაცს თვალებში სისხლი მოსწოლია და დღესასწაულებრივი სიბოროტით ელავენ ისინი; მას ნიდაყვამდე დაუმკლავებია და უჩანს ძლიერი კუნთებიანი, ქერა ბალნით სქლათ დაფარული ხელები; მისს ღია პირში გამოსჩანან წვეტიანი თეთრი კბილები და დრო-გამოშვებით ხრინწიანი ხმით ჰყვირის:

— ჰ—ჰა... ტარტაროზო! ჰეი! აბა! აჰა! ერთი! ესე უნდა, თუ არა ძმებო?...

ურემს და ზედ გამობმულ ქალს უკან კი აუარებელი ხალხი მოსდევს, ტევა აღარ არის, ისინიც ყვირიან, უსტვენენ, იცინიან, ენას უჩლექენ, აქეზებენ... მორბიან ბალღებიც... ხან-და-ხან ერთი მათგანი გადახტება წინ და ქალს პირში ჩასძახის უსირცხვო სიტყვებს... ამ დროს ბრბოს სიცილ-ხარხარში აღარ გაისმის არაგვარი სხვა ხმაურობა და ჰაერში შოლტის ტყლაშუნი... მოდიან აღელვებული სახით და სიამოვნებისგან მბრწყინავი თვალებით დედა-კაცებიც... მოსდევენ მამაკაცებიც და ურემზე მდგომს რაღაც საზიზღარ სიტყვებს მისძახიან... კაციც მიბრუნდება ხოლმე მათკენ და ფართოთ პირ-გაღებული ხითხითებს... აი გადაჰკრა ქალს შოლტი... შოლტი გრძელი და წვრილია და იგი შემოეხვია ქალს მხარზე და ბოლომ იღლიაში გაუტყლაშუნა... მაშინ გლეხმა თავისკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალზე გამოსწია შოლტს; ქალი შეჰღრიალებს და პირ-ღმა გადიქცევა მტვერში... ბევრნი გამოხტებიან ბრბოდან და მასთან მიიჭრებიან, დაიხრებიან მისკენ და დაჰფარ-ვენ მას.

ცხენი შეჩერდება, ერთ წამს უკან კი ის ხელ-ახ-ლათ მიდის და წინანდელებრ მიათრევს ქალს, და ეს სა-ბრალო ცხენი ნელა მიაბიჯებს, თავს აქნევს, თითქოს სურს თქვასო:

— აი რა სიმდაბლეა პირუტყვათ ყოფნა! ყოველივე სისაძაგლეში შეუძლიანთ მონაწილეობა მიგაღებინონ...

ცა კი, სამხრეთის ცა, სრულიად მოწმენდილია,— არც ერთი წერტილი არ ჩანს და იქიდან ზაფხულის მზე უხვათ აბნევს თავის მწვავ სხივებს...

ეს მე დავწერე არა ალლეგორიული გამოხატულობა წინასწარმეტყველის დევნისა და გვემისა თავისს სამშობ-ლოში,—არა, სამწუხაროთ! ამას ჰქვიან—საქვეყნოთ გა-კიცხვა. ასე სჯიან ქმრები თვისს ცოლებს ღალატის გა-მო; ეს ნამდვილი, ცხოვრებიდან აღებული სურათია, ჩვეულებაა,—და მე ეს ვნახე 1891 წ. 15 ივლისს ხერ-სონის გუბერნიაში, სოფელ კანდიბოვკაში.

ვანო გიუნაშკილი

რუსული პოეზიის უმთავრესი მიმართულები მე-XIX საუკუნეში.

(შემდეგი.—იხ. № 32).

მთელი ის სიტყვა-კაზმული ლიტერატურა, რომე-ლიც ჩვენ აქამდე განვიხილეთ, წარმოადგენს მებატონე-თა ხელოვნებას. ამ ლიტერატურიდან ჩვენ ვტყობი-ლობთ, თუ როგორი იყო რუსეთის საზოგადოების მა-ღალი ნაწილის, ანუ მებატონეთა სულიერი განწყობი-ლება, მათი შეხედულება ცხოვრებაზე და განსაკუთრე-ბით ხალხზე. რეფორმების მოახლოებამ რუსეთის ცხოვ-რებაში მეტი სიცოცხლე, მეტი მოძრაობა შეიტანა. გა-მოფხიზლება დაეტყო საზოგადოების მარტო უმაღლეს ნაწილს კი არა, დაბალსაც: თვით ხალხი გრძნობდა, რომ ცხოვრებაში რაღაც ცვლილება ხდებოდა. ასეთმა გამო-ფხიზლებამ ხალხის წარმომადგენლებს სურვილი დაუბადა ცხოვრებაში ჩარევის, ამისთვის კი თავდაპირველათ საჭი-რო იყო სწავლა-განათლება და ამ დროდან იწყება დაბალი ხალხის მოძრაობა რუსეთში სასწავლებლებისაკენ. მესა-მოცე წლების რეფორმებმა ასეთ მოძრაობას ხელი შეუ-წყვეს კიდევ უფრო და რეფორმების შემდეგ ჩვენ პირვე-ლათ ვხედავთ დაბალი ხალხიდან გამოსულ პირებს საზო-გადო ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის ასპარეზზე. მართალია იმ დროს, რომელსაც ეს წერილი შეეხება, დაბალ ხალხს არ მიუცია ისეთი ნიჭიერი ბელე-ტრისტები, როგორიც გამოვიდენ მებატონეთა წრიდან, მაგრამ თვით ხალხიდან გამოსული მწერლები უკეთ იც-ნობენ ხალხის ცხოვრებას, ვიდრე მებატონენი, ამიტო-მაც ამათ ნაწერებიდან ჩვენ პირდაპირ ვტყობილობთ ხა-ლხის ქონებრივ და გონებრივ მდგომარეობას; მებატო-ნეთა წრიდან გამოსულ მწერლებს ხალხთან იმდენათ სი-ყვარული არ აერთებდა, რამდენათაც სიბრალული; მათ ებრალებოდათ ხალხი, როგორც ბატონყმობის უღელ-ქვეშ დაჩაგრული. ეს სიბრალული იმდენათ ძლიერი იყო, რომ ხშირათ ის სიყვარულათაც კი გვეჩვენება, მაგრამ ნამდვილ სიყვარულათ ის არსად არა ქცეულა. მიუხედა-ვათ უდრეკი მიმართულებისა და მტკიცე ენერგიისა ტო-ლსტოის მაინც ეჩნევა, რომ გლეხებთან ყოფნის, გლე-ხებში ტრიალის დროს ის უფრო გონებით მოქმედებს, ვიდრე გულით, გლეხებთან მას უფრო ლოღიკა აერ-თებს, ვიდრე გრძნობა. სულ სხვას წარმოადგენენ ხალ-ხიდან გამოსული ბელეტრისტები. მესამოცე წლების რე-ფორმებმა ხალხი სინათლეზე გამოიყვანა. აქამდე სრულ წყვდიადში ნაცხოვრებ ხალხს ერთბაშმა სინათლემ თვა-ლები მოჭრა; მან არ იცოდა, საით წასულიყო, რა აერჩია, რა გზას დადგომოდა. და აი, ის მწერლები, რო-მლებიც ამდროს ხალხიდან გამოვიდენ, მაგრამ გონებრი-ვათ დაწინაურებული იყვენ, თავის ნაწერებში გვატყო-ბინებენ თუ რა ესაჭიროება ხალხს, სადითკენ არის მი-მართული მისი ცხოვრება. ყოველივე ამას ჩვენ ვერა ვხედავთ მეორმოცე წლების ბელეტრისტთა ნაწერებში; ესენი გვიხატავდენ არსებულ მდგომარეობას, ანუ ცხოვ-რების სტატიკას. თვით ხალხიდან გამოსულმა მწერლებ-მა კი დაგვიხატეს მარტო არსებული მდგომარეობა კი არა, არაძედ ის ცვლილებაც, რომელიც ხალხის ცხოვ-რებაში ხდებოდა, ანუ საზოგადოებრივი ცხოვრების დი-ნამიკა. მართალია ეს ცვლილება ძესაძოცდაათე წლებში ბუნდოვანი და გამოურკვეველი იყო, მაგრამ აქ ცვლი-ლებაზე პირველათ თვით ხალხიდან გამოსულმა მწერლე-ბმა მიუთითეს რუსეთის საზოგადოებას და ამაში მდგო-მარეობს ერთი მათი ღირსებაც; ის, რაც ვერ შეამჩნიეს მებატონეთა წრიდან გამოსულმა მწერლებმა, შეამჩნიეს და უტყუვრათ დახატეს თვით დაბალი წრიდან გამოსუ-ლებმა. ვიდრე მივმართავდეთ ამ ჯგუფის საუკეთესო წარ-მომადგენლებს, მოკლეთ შევეხებით იმ გარეგან განსხვა-ვებას, რომელიც არსებობს გახილულ და განსახილველი ხანის ხელოვნებათა შორის. პირველი წრიდან გამოსული მწერლები ძატერიალურათ უზოუნველყოფილი იყვენ; ამიტომ „ფულის კითხვა“ მათ ძალას აო ატანდა აჩქა-რებულათ ეძუშავხათ. ძეორე წრიდან გამოსული მწერ-ლები კი უმთავრესათ ღარიბები იყვენ; ისინი დაწერდენ თუ არა რამოდენიმე თავს, იძულებული იყვენ რედაქ-ციისათვის მიეშურებიათ, რომ დღიური ლუკმა ეშოვნათ. ამისთანა პირობებში კი მწერალს შეძუშავებისათვის, გა-რეგანი გალამაზებისათვის არა ცხელა. გოხჩაროვს შეეძ-ლო ათი წელიწადი ეწერა ერთი რომანი, ლ. ტოლს-ტოის შეეძლო შვიდჯერ გადაეწერა თავისი თხზულება, ძაგრამ რეშოტნიკოვი, მაგალითათ, თეთრათ გადაწერის საშუალებასაც მოკლებული იყო. ამიტომ მაშინ, როდე-საც არისტოკრატიის წრიდან გამოსული მწერლები დიდ ყურადღებას აქცევდენ ხელოვნების გარეგან მხარეს, პლასტიკას და სხვ., ხალხიდან გამოსული მწერლების უმთავრეს ყურადღებას ხელოვნების დანიშნულება, ძისი არსებითი მხარე იპყრობდა, გარეგნობას კი ისინი ნაკ-ლებ ყურადღებას აქცევდენ. ამიტომ უკანასკნელთა შო-რის ვეოც ეოთს ვეო უხაიავთ ხელოვნების გაოეგნობით ისე ძეძუშავებულ თხზულებებს, როგორც ტუოგენევს ან ტოლსტოის. ძესამოცე წლებიდან ძოყოლებული ხალ-ხიდან გაძოსული ძწერლების რიცხვი თახდათახ იზრდე-ბა. ამათში საუკეთესოთ უნდა ჩაითვალონ რეშოტხი-კოვი, ლევიტოვი, ზლატოვრატსკი და განსაკუთრებით გლებ უსპენსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეშოტნიკოვი (1841—1871) იყო ღარიბი დედ-მამის შვილი; მამა მისი ჯერ დიაკვნობდა, შემდეგ მეფოსტეთ იყო. მამამ სიღარიბისა გამო ოჯახს თავი ვერ გაართვა და რეშოტნიკოვი პატარაობიდან ბიძასთან იზრდებოდა, მაგრამ ბიძაც უკიდურეს სიღარიბეს ებრძოდა. პატარა რეშოტნიკოვს ყოველგვარი დანაშაულობის გულისათვის ცემდენ, რადგანაც ის მეტათ კერპი ხასიათისა იყო. რეშოტნიკოვს აქვს ერთი მოთხრობა, სადაც მას აწერილი აქვს თავისი ბავშვობა და აღზრდა ბიძის სახლში. გასაოცარია, როგორ ტანჯავდენ ნიჭიერ ყმაწვილს, როგორ მხეცურათ ეპყრობოდენ მას და როგორ ცდილობდენ მასში ყოველგვარი სიმტკიცის, ინდივიდუალური თვისების აღმოფხვრას. ათი წლის რეშოტნიკოვი ბურსაში ძიაბარეს, მაგრამ მაშინ ბურსაში აღზრდის საუკეთესო საშუალება ცემა იყო. ასეთი პირობები რეშოტნიკოვს არ ძოეწონა, ერთხელ გაიპარა, მაგრამ დაიჭირეს და იმდენი სცემეს, რომ ორი თვე საავადმყოფოში იწვა. მორჩა თუ არა, კიდევ გაიქცა; გამოიცვალა ტანისამოსი, გაითხუპნა ცხვირპირი და ამგვარი ხერხის წყალობით ის ველარ დაიჭირეს. პატარა ხანს რეშოტნიკოვი მათხოვრობით ირჩენდა თავს. შემდეგ ქარხნის მუშები გაიცნო და ისინი აჰქევდნენ ხოლმე პურს. რეშოტნიკოვი პატარაობიდანვე უკვირდება ყველაფერს, სწავლობს ხალხის ცხოვრებას. რამოდენიმე ხნის შემდეგ რეშოტნიკოვი, მეორეთ დაიჭირეს და ისევ სასწავლებელში ძიიყვანეს. სასწავლებლის გათავების შემდეგ მან იშოვნა ალაგი, რომელიც მას თვეში სამ მანეთს აძლევდა; რამოდენიმე წლის შემდეგ ის გადიყვანეს პეტერბურგში ცხრა მანეთიან ალაგზე. მწერლობა მან ადრე დაიწყო, მაგრამ 64 წლამდე ძას, როგორც მწერალს, არავითარი სახელი არა ჰქონდა. 64 წელს დაიბეჭდა მისი «Подлиповцы», და ამ მოთხრობით მან ერთბაშათ მოიხვეჭა სახელი. როგორც ამ მოთხრობაში, ისე სხვებში, რომლებიც ამის შემდეგ დაწერა მან, ის ეხება გლეხის ცხოვრებას. მისი აღწერილობა შოკლებულია გარეგან სილამაზეს, მაგრამ სამაგიეროთ მის ნაწერებს ერთი დიდი ღირსება აქვთ: გლეხის უნუგეშო მდგომარეობა, მისი სიღატაკე, მისი უმეცრება, მისი საშინელი და მასთან უნაყოფო ბრძოლა ცხოვრებასთან მეტათ ნათლათ და უტყუვრათა აქვს დახატული. გლეხებს ტურგენევმაც უძღვნა თავისი „მონადირის წერილები“, მაგრამ ტურგენევისა და რეშოტნიკოვის აღწერას შორის ძირითადი განსხვავებაა: მაშინ, როდესაც მეორმოცე წლების ბელეტრისტები ეხებოდენ მხოლოთ გლეხის ზნეობრივ მხარეს და იმ ტანჯვას, რომელსაც ძას ბატონყმობის უღელი აყენებდა, რეშოტნიკოვი და ყველა ის მწერლები, რომელთაც ამ წერილში ძოვიხსენიებთ, ეხებოდენ უმთავრესათ გლეხის ცხოვრების ეკონომიურ მხარეს. მეორმოცე წლების ბელეტრისტებს ეგონათ: რუსეთის ცხოვრების ერთათ ერთი ძლიერი მტერი ბატონყმობაა, რაკი ის მოისპობა, საერთო ბედნიერების კარი გაეხსნება ყველასო; ნამდვილათ კი ასე არ მოხდა და ამაზე მიუთითა რეშოტნიკოვმა მკითხველ საზოგადოებას; მან ნათლათ დაანახვა, რომ გლეხი განთავისუფლდა, მაგრამ ისევ ღატაკი და უმეცარი დარჩა. ამით მას უნდოდა ეთქვა მკითხველისათვის, რომ ბევრი რამ სხვა ცვლილება იყო საჭირო ცხოვრებაში, მაგრამ მას არ ესმოდა, არა ჰქონდა გამორკვეული, თუ რა სახის უნდა ყოფილიყო ეს ცვლილება. ამის ერთი მიზეზი ისიც არის, რომ რეშოტნიკოვი ძალიან ადრე გარდაიცვალა. თუმცა რეშოტნიკოვი თავის ნაწერებში ობიექტიურათ ხატავს ყოველისფერს, მაგრამ მას მაინც ემჩნევა ის იდეალიზაცია გლეხისა, რაც ძლიერათ დაეტყო ზლატოვრატსკის ნიჭს; ეს ასეც უნდა მომხდარიყო: რეშოტნიკოვი გამოვიდა ხალხიდან, რომელიც მას სულითა და გულით უყვარდა.

რეშოტნიკოვზე ნაკლები მწუხარება არ გამოუვლია ლევიტოვს (1842—1877) თავის პატარაობაში. ის იყო შვილი ღარიბი ოჯახის და უმეცრება და მხეცური მოპყრობა, ლევიტოვის მშობლების თვისებასაც შეადგენდენ. რადგანაც ლევიტოვის მამა მღვდელი იყო, ამიტომ ლევიტოვის აღზრდა ოჯახში სარწმუნოებრივ ნიადაგზე იყო დამყარებული და ყმაწვილი მხოლოთ საღმრთო წერილს კითხულობდა. ლევიტოვი ძიაბარეს სემინარიაში, მაგრამ სემინარიის წყობილება მას არ მოეწონა, დაანება თავი და ფეხით მოსკოვში ჩამოვიდა; აქ მოემზადა და უნივერსიტეტში შევიდა; მალე გადავიდა პეტერბურღის უნივერსიტეტში და ხარბათ დაეწაფა მეცნიერებას, მაგრამ ის კურსის გათავებამდე დაიჭირეს, როგორც „არა საიმედო პირი“ და რამოდენიმე წლით ვოლოგდაში გაგზავნეს. 61 წელს მას ნება მიცეს, უკან დაბრუნებულიყო და ლევიტოვმაც მოსკოვში გამოსწია ფეხით, რადგანაც ფული არა ჰქონდა. პურის ფული რომ ეშოვნა, თითო კვირაობით სოფლებში გაჩერდებოდა ხოლმე გზადაგზა, გლეხებს სხვა-და-სხვა საქმის ქალალდებს უწერდა, ამით იღებდა ორიოდე გროშს და თავს ირჩენდა. ჩამოვიდა თუ არა მოსკოვში, მან ხელი მოკიდა ლიტერატურულ მოღვაწეობას და სიკვდილამდე კალამი არ გაუგდია ხელში. რეშოტნიკოვი და ლევიტოვი გასაოცარ პირებს წარმოადგენენ იმ ძლიერი ენერგიით და ხასიათის სიმტკიცით, რომლითაც ისინი თავის მიზანს მისდევდნენ. ოჯახსა და სასწავლებელს არ დაუტოვებია არავითარი ბარბაროსული საშუალება, რომ ლევიტოვში აღმოეფხვრა მისი ინდივიდუალობა და მჩვარათ ექცია, მაგრამ მან ყოველგვარი დაბრკოლება სძლია და თავისი „მე“ არავის დაანება. უნივერსიტეტის სკამიდანვე ლევიტოვს ლიტერატურული ასპარეზი იზიდავს, მაგრამ ცხოვრება ათასგვარ დაბრკოლებას უყენებს მას წინ ამ ასპარეზზე. მიუხედავათ ამისა, ლევიტოვი ებრძვის ცხოვრებას და ლიტერატურულ ასპარეზს არა ტოვებს; მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ის შიმშილს ებრძვის, მაგრამ სიღარიბე მას ვერ აკარგვიებს თავის მიზანს, ვერ აყიდვინებს რწმენა-შეხედულებას კაკარდაზე. ლევიტოვი მთელი თავისი არსებით პოეტი იყო; თავის ნაწერებში ის ხშირათ აღწერს ხოლმე ხალხის ცხოვრების უნუგეშო სურათებს, მაგრამ ამავე დროს მას იტაცებს რომელიმე პეიზაჟის სიშვენიერე, ის ივიწყებს უნუგეშო სურათებით აღძრულ სევდას და ეძლევა ესტეტიურ სიამოვნებას; ამ კაცს, რომელსაც ასე იზიდავდა პოეზია, ყოველგვარ სფერაში წყუროდა თვით ცხოვრებაში, თვით ადამიანთა შორის განწყობილებაში პოეზიის ხილვა, მაგრამ ამ პოეზიას ის ვერსად ხედავდა და ეს არის ერთი უმთავრესი მიზეზი იმ გარემოებისა, რომ ლევიტოვს არსად არ უდგებოდა გული. რუსეთის არც ერთი კუთხე მას არ აკმაყოფილებდა: საცხოვრებელ ქალაქს ის თიდ-

ქმის ყოველ წელიწადს იცვლიდა. ლევიტოვის ლიტერა-ტურული მოღვაწეობა ორ ნაწილათ იყოფა. ორივე ნაწილში ის ეხება უმთავრესათ დაბალი ხალხის ცხოვრებასა და სვე-ბედს, მაგრამ პირველ ნაწილში მას დახატული აქვს სოფლის გლეხობა, მეორეში ქალაქებში გადმოსახლებული მშრომელი ხალხი. მას თვით გლეხი ან მუშა კი არ აინტერესებს, არამედ მისი მდგომარეობა, ეკონომიურ პირობებზე დამყარებული. გარეგანი სახელოვნო ღირსებით ლევიტოვის ნაწერები არაფერს შესანიშნავს არ წარმოადგენენ და არცა ჰყავს მას დღეს ბევრი მკითხველი, მაგრამ თვით იმ წრის ცხოვრების შესახებ, რომელსაც ის ეხება, ბევრ საგულისხმო ცნობებს იძლევა. როდესაც მის ნაწერებს კითხულობთ, ასე გგონიათ, ამ კაცს გულიდან უწერია და არა გონებიდანო. ლევიტოვი საუკეთესო ტიპია განათლებული პროლეტარისა. უკიდურესი სიღარიბე, უმეცრება, ძლიერისაგან სუსტის დაჩაგვრა,—აი რას ხედავს მკითხველი ლევიტოვის ყოველ მოთხრობაში. სიღარიბე იწვევს ლოთობას, ლოთობა კი ჰბადავს ათასგვარ ბოროტ-მოქმედებას ხალხში და ყოველივე ეს კარგათა აქვს დახატული ლევიტოვს. ლევიტოვი უფრო ძლიერია ხალხის დაბეჩავებისა და უბედური მდგომარეობის ხატვაში, მაგრამ ეკონომიური პირობების ზედმოქმედებას ცხოვრებაზე ის ხშირათ უშლის მკითხველს თვალწინ და მრავალგვარ სისაძაგლეს, რომელსაც გლეხი ჩადის. ის უმთავრესათ ეკონომიურ მდგომარეობას აწერს. გლეხის გაჭირვებულ მდგომარეობას ლევიტოვი მეტის თანაგრძნობით, მეტი ლირიზმით აღწერს, ვიდრე რეშოტნიკოვი, მაგრამ მიუხედავათ სხვა და სხვა ტემპერამენტისა ამ ორ მწერალს შორის დიდი მზგავსებაა: ისინი ეხებიან ერთსა და იმავე საგანს, ერთნაირათ მიდიან იმ დასკვნამდე, რომ გლეხის მდგომარეობა როგორც სოფელში ისე ქალაქში ყოველის მხრით უნუგეშოა. ზლატოვრატსკის ამ ორ მწერალთან დიდი მზგავსება აქვს: ის გამოვიდა იმავე წრიდან და ხალხის ცხოვრების ხატვა გაიხადა თავისი ხელოვნების საგნათ, მაგრამ ხალხის ცხოვრებაში მან დაინახა მომავალი ბედნიერების თავდები და ამან იხსნა ის ღრმა სევდისაგან, რომელმაც ლევიტოვი თან გადიტანა. ზლატოვრატსკი (დაიბადა 1845 წელს) იყო ღარიბი დედმამის შვილი და პატარაობიდანვე სულ წვრილ მოხელეებში და დიაკვნებში ტრიალებდა; ლევიტოვსავით ის საღმრთო წერილის წიგნებზე იზრდებოდა და პატარაობაშივე თითქმის მთელი საღმრთო წერილი გადაკითხული ჰქონდა. გიმნაზიის გათავების შემდეგ ის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს. უნივერსიტეტში ყოფნის დროს ის უმეტესათ უკიდურეს გაჭირვებაში იყო ხოლმე, რადგანაც ხშირათ პურის ფულიც არა ჰქონია. 66 წელს გამოვიდა პირველი მისი მოთხრობა, რომელსაც არ მიუქცევია მაინც და მაინც საზოგადოების ყურადღება, რომელიც მან მხოლოთ 74 წლიდან მიიქცია. ერთათ ერთი თემა მისი მოთხრობებისა გლეხია. ზლატოვრატსკი უმთავრეს ყურადღებას აქცევს გლეხის ზნეობრივ მხარეს და მისი ცხოვრების ეკონომიურ პირობებს, რომ გამოარკვიოს, საით უნდა მიმართოს გლეხობამ თავისი ცხოვრება, რას უნდა მოეჭიდოს და რა უნდა უარჰყოს, რომ ბედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრება მოიხვეჭოს. გლეხების ცხოვრებაში ზლატოვრატსკი ხედავს ორ მოვლენას: общинა-ს და артель-ს; ის, ვინც რუსული ცხოვრების ამ ძველ ფორმას არ გაცილებია, მაძღარიც არის, კმაყოფილიც; ზნეობრივიც და ამგვარათ ბედნიერია; ის, ვინც ამ ფორმას გამოშორებია, საკუთარის ჭკუით დაუწყია ცხოვრება ახალ პირობებში, ყოველის მხრით უკან დაუწევია. აი რას ვხედავთ ზლატოვრატსკის მოთხრობებში. აქედან ერთათ ერთი დასკვნა გამოყავს ზლატოვრატსკის: ხალხის ბედნიერება ცხოვრების ძველი ფორმის შერჩენაზეა დამოკიდებული. «ობშჩინა» და «არტელი» ერთათ ერთი თავდებია ხალხის კეთილდღეობის და მხოლოთ მათი განვითარება, გავრცელება და განმტკიცება გამოიწვევს ცხოვრების განვითარებასო. ამგვარათ, ზლატოვრატსკი არის ნამდვილი ნაროდნიკი, რომელსაც ევროპიული ცხოვრების არა სწამს რა. ამგვარი აზრების შეუბრალებლათ გამქარწყლებელი იყო გ. უსპენსკი, რომელსაც თანამედროვე ბელეტრისტთა შორის ერთი საუკეთესო ალაგი უჭირავს.

გლებ უსპენსკი დაიბადა 1840 წელს. თუმცა ის ღარიბი დედ-მამის შვილი იყო, მაგრამ მისი აღზრდა გაცილებით უკითეს პირობებში იყო ჩაყენებული, ვიდრე ზეშოთ აღნიშნული მწერლების. მამა მისს ჰქონდა პატარა ბიბლიოთეკა, რომელიც ყმაწვილმა რამოდენჯერმე გადიკითხა. როდესაც უსპენსკიმ სწავლა გაათავა გიმნაზიაში, ის საკმაოთ განვითარებული ყმაწვილი იყო. გიმნაზიის გათავების შემდეგ ის ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, შემდეგ მოსკოვში; 63 წელს გამოვიდა უნივერსიტეტიდან, და აქედან იწყება მისი მოღვაწეობა ლიტერატურის ასპარეზზე. უსპენსკიმ ერთბაშათვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება და სულ მოკლე დროს განმავლობაში მისი სახელი მთელ რუსეთს მოედო. გ. უსპენსკის ლიტერატურული მოღვაწეობა ორ ნაწილათ იყოფა, ისე, როგორც ლევიტოვის. პირველ ნაწილში ის ხატავს ქალაქის ხალხს, ხელოსნებს, მუშებს და სხვა, მეორეში სოფლის გლეხობას. როგორც პირველ ნაწილში, ისე მეორეში ის გასაოცარის ანალიზით აღწერს ხალხის ცხოვრებას; ისე ღრმათ არავის არ ჩაუხედია ამ ხალხის ცხოვრებაში, ისე ნიჭიერათ არავის არ დაუნახავს ამ ცხოვრებაში დამახასიათებელი მოვლენანი, როგორც ეს შეიძლო გ. უსპენსკიმ. მან დახატა ზნეობრივი გახრწნა და ქონებრივი დაცემა ქალაქის წვრილი ხალხისა, რომელსაც ლოთობაში ხდებოდა სული, მან მიუთითა მკითხველს ხალხის ზნეობრივ სიღარიბეზე, გონებრივ უმეცრაობაზე და ჩარჩულ მორალზე; ჩარჩის ძლიერებას და გავლენას რუსეთის სოფლებში პირველათ უსპენსკი შეეხო და ისე ნიჭიერათ დაახასიათა ეს მოვლენა, როგორც მას შემდეგ არავის არ დაუხასიათებია რუსეთის მწერლობაში. უსპენსკიმ დაახასიათა ჩარჩობა, როგორც რუსეთის ცხოვრების სოციალური და მასთან აუცილებელი მოვლენა. უსპენსკის გლეხი თავისი საკუთარი გონებით კი არა ცხოვრობს და თავისი საკუთარი ზნეობრივი პრინციპებით კი არ ხელმძღვანელობს, ის მონაა მიწის და უაზროთ, შეუგნებლათ, ავტომატიურათ ასრულებს მას, რასაც მიწა ეუბრძანებს. დამოუკიდებლათ, თავისუფლათ ცხოვრება მას არ შეუძლიაო. ის ბევრგან ამტკიცებს თავის მოთხრობებში, რომ ცხოვრება თავისი საკუთარი სტიქიური გზით მიდის და ინტელიგენციის სურვილებს არ ემორჩილება. სოფლის

ცხოვრებაში ის უკვე ხედავს ძველი ფორმის დარღვევის ნიშნებს; ჩარჩი არა თუ რუსეთის ცხოვრების ორგანიული მოვლენაა მის თვალში, ჩარჩი გლეხობის იდეალია, იმის წაბაძვას, იმისი მორალის შესისხლხორცებას შეუჩერებლათ ეტანება გლეხი. ერთ თავის მოთხრობაში უსპენსკი ამტკიცებს, რომ გლეხი თანდათან უფრო ეტანება ინდივიდუალურ ცხოვრებას, წინეთ თუ ის მიწის მონა იყო და მიწას ეკედლებოდა, ახლა ის ფულს ეტანება და ამგვარ მიდრეკილებაში უსპენსკი ხედავს „ობჩინის“ დარღვევის უტყუარ ნიშნებს. მიწა ფულს უთმობს ალაგს, გლეხმა შეიგნო ეს, მან ზურგი შეაქცია მიწას და ის ახლა ფულს ეტანება და აქედან ერთათ-ერთი ლოღიკური დასკვნა ის არის, რომ ახალი ბატონი—ფული—ცხოვრებასაც ახალს პირობებზე ააგებს; ყოველივე ამაზე საუცხოოთ გვითითებს გ. უსპენსკი. მიუხედავათ იმისა, რომ ასეთ ცვლილებაში უსპენსკი გლეხის ზნეობრივათ დაცემის, დაბეჩავებისა და გაუბედურებისა ჩარჩისაგან ხალხის ყვლეფის მეტს ვერას ხედავს, ის მაინც იმდენათ ობიექტიური მწერალია, რომ მის ნაწერებში ვერ ნახავთ გლეხის ბუნებისა და მისი ცხოვრების ძველი ფორმის იდეალიზაციას, რაც ისე ემჩნევა ზოგიერთ „ნაროდნიკს“ და ჩვენ ტეტიათა მოტრფიალეთ. ამგვარათ უსპენსკი იყო ნამდვილი ბელეტრისტი-პუბლიცისტი, რომელმაც დიდი ნიჭითა და ხელოვნებით დაანახვა რუსეთის საზოგადოებას, თუ საით მიდიოდა რუსეთის ცხოვრება. მაშინ, როდესაც მესამოცდაათე და მეოთხმოცე წლებში რუსეთის ინტელიგენციის ერთ ნაწილს ხალხი უმანკოკრავათ ჰყავდა წარმოდგენილი და ღრმათ სწამდა, რომ რუსეთის ცხოვრება აცილებულ იყო დასავლეთ ევროპის ცხოვრების მიმდინარეობას და საკუთარი, სრულებით თავისებური გზით ვითარდებოდა, უსპენსკიმ აშკარათ დაანახვა საზოგადოებას ამგვარი ბავშური იმედების სრული უნიადაგობა. სად მიიყვანდა ხალხს ძველი ცხოვრების დარღვევა და ახალი ელემენტების აღორძინება, უსპენსკიმ არ იცოდა, ახალ ელემენტებში ის სანუგეშოს ვერაფერს ხედავდა და ეს იწვევდა მის სევდიანობას, რომელიც მას გატარებული აქვს თავის ნაწერებში. ჩამოთვლილ ღირსებათა გარდა, გლებ უსპენსკის ერთ დიდ ღირსებას შეადგენს კიდევ ის მძლავრი იუმორი, რომელიც მისი ნიჭის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს.

ი. გომარელი.

(შემდეგი იქნება)

ᲥᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

გაზ. „ცნობის ფურცლის“ № 1547-ში ჩვენ ამოვიკითხეთ შემდეგი სიტყვები:

«უკანასკნელ დროს კიღაც ციღოსმწამებელნი, როგორც გადმოგვცეს, დადიან ქუჩა-ქუჩათ და აკრცელებენ საზიზღარ ჭორებს ჩვენი (ე. ი. «ცნ. ფურ.») რედაქციის წევრების შესახებ. რა ვუთხრათ ამ სულით მდაბალთ და გონებით ბნელ კაბატონებს..., რომლებიც იმდენათ სინიდისს მოკლებულნი ყოფილან, რომ არავითარ საშუალებას არ ერიდებიან ოღონდ ადამიანს ჩარქი წასცხონ?.. რა ვუთხრათ იმ უბადრუკ მეჭორეთ, რომლთაც ადვილათ შეუძლიანთ ოკეანეგარი სისაძაგლის შეთხზვა? ...ჩვენდა გასაოცრათ, იმასაც ამბობენ, კითომც მეჭორეთა რიცხვში ისეთებიც არიან, რომლთაც დამოკიდებულება აქვთ ბრესსასთან, სასალდაბრ ერთთ-ერთ ქართულ გაზეთთანო»...

აი, ასეთი სიტყვებით არის გავსებული გაზეთის ერთი სვეტი. რა უნდა დაემტკიცებია ამ სიტყვების ავტორს? ის თუ დაბეზღება საზიზღროება და სისაძაგლეა, თუ ის, რომ მეჭორეობაც სისაძაგლეა? მაგრამ დაბეზღება რომ საზიზღროებაა, ეს აბა ვინ არ იცის? თუ ავტორს ჭორიკანობის დაგმობა სურდა, ეს კიდევ კარგი, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ თვით ამ წერილის ავტორი თავიდან ფეხებამდე ჩაფლულია ჭორების მორევში, თითონ იგი აყოლია ჭორებს. თუ ავტორის სიტყვით „მეჭორეთა რიცხვში ისეთებიც არიან, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ ერთ-ერთ ქართულ გაზეთთან“, რატომ ავტორმა არ მოინდომა ქუჩა-ქუჩა გაგონილ ამბის, სანამ მას გაზეთის ფურცლებზე გამოეტანა, იმ ერთ-ერთ ქართულ რედაქციის წევრებთან მოელაპარაკა და სინამდვილე შეეტყო? ჩვენ არ ვიცით, რომელი რედაქციის წევრები ყავს ავტორს მხედველობაში, ხოლო ის კი ცხადზე უცხადესია, რომ თვით „ცნობის ფურცლის“ რედაქცია დამდგარა იმ გზაზე, რომელიც თითონ მან ასეთი გაბერილი სიტყვებით დაგმო.

მეცნიერება და მეცნიერები.

წერილი II.

წინა წერილში ჩვენ გავარჩიეთ, თუ რა მდგომარეობაშია მიწის საკუთრება ბელგიაში. ხოლო ბ. მარველი გაკვრით სხვა სახელმწიფოებსაც იხსენიებს და ამბობს, რომ ყოველგან ციფრები გვიმტკიცებს მიწის საკუთრების თანდათან დაქუცმაცებას, თუმცა მისი აზრის სიყალბე, ბელგიის ცხოვრების გამოკვლევამ ცხადათ დაგვანახვა, მაგრამ ეს ფაქტი ჩვენ მაინც უფლებას არ გვაძლევს განუხილავათ დავტოვოთ დანარჩენ ბ. მარველის მიერ ნაჩვენებ ქვეყნებში მიწის საკუთრების მდგომარეობა. ჩვენ მოვალე ვართ ისენიც გავუთვალისწინოთ მკითხველს. ამ მოვალეობას სიამოვნებით ვეგებებით, რადგან მისი აღსრულებით იმედი გვაქვს უფრო ნათლათ დავასაბუთოთ ჩვენი შეხედულობა ცხოვრებაზე და ცოტათი მაინც გავკაფოთ ჩვენი ეკლიანი გზა.

ვინემ შეუდგებოდეთ პირდაპირ ამ კითხვათა გამოკვლევას, საჭიროთ მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება მივაქციო ბ. მარველის შემდეგ სიტყვებს: «მათ აბსოლუტური რიცხვი, რაოდენობა კი არ აიღეს, მხოლოთ პროცენტები გადმოგვიშალეს... ასეთი სტატისტიკა აღმოაჩინა ენგელსმა». („ივერია“, გვ. № 59.) პატივი მაქვს მოვახსენო „ივერიის“ სტატისტიკოსს“, რომ „ასეთ სტატისტიკას“ ენგელსზე ადრე ხმარობდა ა. კეტლე, მე-XIX-ის უდიდესი სტატისტიკოსი. ა. კეტლე პროცენტებით გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია რიცხვი მატულობდეს აბსოლუტურათ და შედარებით კი კლებულობდეს. მოვლენის თვისებას გვამცნობს მხოლოთ ეგ შედარებითი გამოანგარიშება—„პროცენტების გადმოშლა“. გადაშალეთ ა. კეტლეს უმთავრესი თხზულება, დასტამბული 1835 წ. პარიჟში, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ მატულობდა მცხოვრებთა რიცხვი ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ-შტატებში [1]).

[1]) A. Ouetelet. Essai de physiqne sociale. Tome premier, p. 290. იხ. აგრეთვე გვ. 287

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლები.	მცხოვრებთა რაოდენობა.	რამდენი % ემატებოდა ყოველ წელს.
1780	2.051.000	6,2
1790	3.929.326	3,0
1800	5.306.035	3,1
1810	7.239.703	2,87
1820	9.654.415	1,9
1825	10.438.000	1,9

ეხლა შევადაროთ ს. ᲙᲔᲢᲚᲔᲡ ცხრილს კ. კაუცკის ცხრილები, ის ცხრილები, რომელნიც დაიწუნა „ივერიის“ სტატისტიკოსმა“, რადგან მას ეგონა, რომ ეგ ცხრილები ენგელის მიერ გამოგონილი მეთოდით იყო შემდგარი. აი კ. კაუცკის ცხრილი [2]):

წარმოება, სადაც მუშაობს	1882 წ.	1895 წ.	რამდენი % მოემატა.
1-დან 5 კაცამდე	2.882.768	2.934.723	1,8
6—10	68.763	113.547	65,1
11—50	43.952	77.752	76,9
51—200	8.095	15.624	93,0
201—1000	1.752	3.076	75,6
1000-ზე მეტი	127	225	100,8

როგორც ხედავთ, კ. კაუცკის ისე, როგორც ს. ᲙᲔᲢᲚᲔᲡ, ᲯᲔᲠ მოჰყავს აბსოლუტური რიცხვი და მერე ისე, როგორც კეტლე, „გადმოგვიშლის პროცენტებს“, რომ ნათლათ დაგვანახვოს, რომელი ᲯᲣᲠᲘᲡ წარმოება უფრო მალე ვრცელდება და ამბობს: „აქაც ცხადათ ჩანს პროგრესი დიდ ექსპლუატაციათაო“. მართლაც, განა ამ ციფრებიდან არა ჩანს, რომ დიდი წარმოება უფრო მალე იზრდება, ᲒᲘᲜᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ!..

კ. კაუცკის კიდევ უფრო ცხადი საბუთი მოჰყავს თავის მოძღვრების ᲭᲔᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ განსამტკიცებლათ [3]).

	1882 წ.	1895 წ.	მოიმატა (+); მოიკლო (—) აბსოლუტ.	პროც.
ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲘ	1.861 502	1.774.481	—87.021	— 4,68
დამოუკ. ᲮᲔᲚᲝᲡ.	339.644	287.389	—52.255	—15,39
მრეწველობის და ვაჭრობის უმთავრესი				
მოსამსახურე პირნი	99.076	263.747	+164.671	+166,21
კომპანიონები და შეგირდები	4.096.243	5.955.613	+1.859.370	+45,39
სულ	6.396.465	8.281.230	+1.884.765	+29,47

ეს ცხრილი პირველათ, 1896 წ., მოიყვანა ე. ᲑᲔᲠᲜᲨᲢᲔᲘᲜᲛᲐ; მაშინ ᲑᲔᲠᲜᲨᲢᲔᲘᲜᲘ მარქსისტი იყო და სამშობლოდან განდევნილი ინგლისში ცხოვრობდა. დღეს კი მარქსიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა და ნებაც ᲔᲑᲝᲫᲐ შინ დაბრუნების. აი, ამ ᲑᲔᲠᲜᲨᲢᲔᲘᲜᲛᲐ მოიყვანა ეგ ცხრილი, როგორც დამახასიათებელი თანამედროვე გერმანიის ინდუსტრიის განვითარებისა და როგორც ნიშანი იმისა, თუ როგორ წვრილი წარმოება შეიქმნება სხვილათ, როგორ იქცევა სახელოსნო მრეწველის ქარხანათ, დიდი ქარხანა ვეებერთელა საწარმოოდ დაწესებულებათ. ამ ცხრილიდან ჩანს, რომ 1882—1895 წ-მდე, ე. ი. 13 წლის განმავლობაში ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲗᲐ რიცხვს ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲗ დაუკლია და მსახურთა რიცხვს კი როგორც აბსოლუტურათ ისე შედარებითაც მოუმატია; ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ მცხოვრებთა რიცხვს მოუმატა 14,48%.

ეხლა ავიღოთ შემდეგი სიტყვები ბ-ნი მარველისა („ივერია“ № 59): „მე-145 [4]) გვერდზე მოჰყავს (კაუცკის) „ცხრილი მემამულეთა გერმანიაში 1895 წ.“ იმ ადგილას, სადაც „მხოლოთ ფერმერთა მიწებია“:

1882 წ. იყო 829,137

1895 წ. გახდა 912, 959, მოემატა 83,822.

„ჩვენებურათ, მკითხველო, 9%-ზე ცოტა მეტი მოჰმატებია, ყოველ შემთხვევაში ორთაშუა რიცხვით წელიწადში ფერმერთა რიცხვს 6,448 ემატებოდა. სულ სხვანაირათ ანგარიშობს ᲔᲜᲒᲔᲚᲡᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲐᲗᲐ (კურსივი ჩვენია. დ. თ.) დამცველი: იმან ორივე რიცხვი პროცენტებათ აქცია და პირველისათვის 15,7% გამოიყვანა, ხოლო მეორისათვის 16,4%, შემდეგ გამოაკლო ერთი მეორეს და, არ ვიცი, ღმერთმანი რა მათემატიკის ძალით, გამოაცხადა, რომ მხოლოთ 0,7% მოჰმატებიაო! აი სწორედ ეს აბდა-უბდა გამოაქვთ დიალექტიკურ მეცნიერებათ“... აი ამაზე იტყვიან სწორეთ «ჩემი შენ გითხარ—გული მოგიკალ».

„ივერიის“ სტატისტიკოსს არ მოსწონს პროცენტების ერთი-მეორესთან შედარება; მაგრამ ეგ არავისთვის საინტერესო არაა; საინტერესო ისაა—არის თუ არა მეცნიერებაში მიღებული ამგვარი შედარება? არის თუ არა აუცილებელი საჭიროება ამგვარ შედარებაში? ამაზე მეცნიერება გვიპასუხებს—ᲐᲠᲘᲡ. «ივერიის» სტატისტიკოსს» მივუთითებთ ᲐᲓᲒᲘᲚᲗ ᲒᲐᲡᲘᲜᲯᲔᲑᲘ თხზულებებზე, სადაც პროცენტების შედარება ნაჩვენებია, როგორც აუცილებელი მეთოდი სტატისტიკაში. აი ეს წიგნები: Jackes Bertillion (პარიჟის სტატისტიკურ ბიუროს დირექტორი), Cours élémentaire de stastistique, pp. 447, 450—451 და Чупров. Курсъ статистики. გვ. 256 არც პირველი და არც მეორე ავტორი მარქსისტი არაა [5]). აი მესამე არა. მარქსისტი, ერთი საუკეთესო ეკონომისტთაგანი, რომელიც სწორეთ ისე ირჯება, როგორც კ. კაუცკი. მისი მეთოდი ბ. მარველისაგან დაწუნებული მეთოდია. ეგ მეცნიერი [6]) პროცენტებით გვიმტკიცებს, რომ ᲑᲔᲚᲒᲘᲐᲨᲘ 1846-დან 1880 წლამდე მეურნეთა რიცხვმა თუმცა აბსოლუტურათ მოიმატა, მაგრამ მათი რიცხვი მაინც თანდათან კლებულობს; ხოლო თუ რამდენი დაიკლო (შედარებით), ამის საჩვენებლათ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲙᲚᲔᲑᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲡ ისე, როგორც ᲙᲐᲣᲪᲙᲘ თავის ᲪᲮᲠᲘᲚᲨᲘ. (შემდეგ აბსოლუტურათაც დაიკლო მათმა რიცხვმა, რაც ამტკიცებს პროცენტებით გამოანგარიშების მნიშვნელობას).

1846 წ. იყო 1.083.601 მეურნე, ე. ი. 25% მცხოვრ.

1880 წ. იყო 1.199.319 „ „ 21,77% „

---

[2]) K. Kautsky. Le Marxisme et son critique Bernstein, გვ. 113.

[3]) Ib., p. 110.

[4]) 145 გვერდზე აკტორს (Marxisme'ის) არავითარი ციფრები არა აქვს მოყვანილი. ნახსენები ცხრილი მოთავსებულია 147 გვ.

[5]) იხ. აგრეთვე: Natalité et Democratie, par Arsène Dumont, pp 51—52. ავტორი ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲔᲑᲘᲗ გვიჩვენებს, რომ საფრანგეთის მცხოვრებთა რიცხვი კლებულობს (შედარებით), თუმცა აბსოლუტურათ კიდევ იზრდება; მომავალში კი, თუ პირობები არ შეიცვალა, აბსოლუტურათაც დაიწყებს კლებას. ამას ამტკიცებენ მხოლოთ „პროცენტების გადმოშლით“.

[6]) Hector Denis. La dépression économique et sociale et histoire des prix, p 330.

ჩვენი ავტორი 25%-ს გამოაკლებს 21,77% და ამბობს: 1880 წელს მეურნეთა რიცხვი შედარებით 1846 წელთან 3,23%-ით ნაკლები იყოო. მართლაც, ბელგიაში სოციალურ-ეკონომიური პირობები თანდათან უფრო უშლიდენ ხელს მეურნეთა რიცხვის გამრავლებას და ბოლოს კი სრულიად გაუკულმართებულ პირობებმა აბსოლუტურათაც შეამცირა მათი რიცხვი. სამწუხაროა, რომ „ევერიის“ სტატისტიკოსმა ამგვარი ელემენტარული სტატისტიკური მეთოდებიც რომ არ იცის.

ბ. მარველმა კ. კაუცკის ცხრილიდან ხოლოთ ორი ციფრი ამოგლიჯა და ამიტომ მკითხველისთვის ამ ცხრილის ᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ გაუგებარია. კაუცკი ამბობს: „რამდენათ ფერმერობა ერცელდება და ჰიპოტეკური ვალი იზრდება, იმდენათ მრავლდება ისეთ მეურნეთა რიცხვი, რომლებსაც არ აქვთ არავითარი ინტერესი იქონიონ საკუთარი მიწა... კიდევაც ფერმერობა ვრცელდება“. ამის დასამტკიცებლათ მას მოჰყავს ბ. მარველის მიერ დამახინჯებული და დაწუნებული ცხრილი:

«სურათი მეურნეობათა 1895 წ. გერმანიის იმპერიაში».

	მხოლოთ ფერმერთა მიწები (დაქირავებ.)	სრულიად ან ნაწ. ფერმ. მიერ დაქ.	არდაქირავებ. მიწები.
1882 წ.	829.137	2.322.899	2.953.445
1895 „	912.959	2.607.210	2.951.107
მოემატა	+83.822	+284.311	
თუ მოაკლდა			—2.338
პროპორცია %-ად თითოეულ კატეგორიისა.			
1882 წ.	15,7	44,02	55,98
1895 წ.	16,4	46,91	53,09
მოემატა	+0,7	+2,89	
თუ მოაკლდა			—2,88

როგორც ხედავთ, ეგ რიგული ცხრილი არ წააგავს იმ ორ ციფრს, რომელიც აქედან ამოგლიჯა „ევერიის“ სტატისტიკოსმა“. ᲔᲒ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ, მართლაც, ფრიად საყურადღებოა იმ კითხვის გამოსარკვევათ, რომელიც შეადგენს ჩვენი სტატიის საგანს. ამ ციფრებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ 1882-დან 1895 წ-დე გერმანიაში ისეთ მეურნეთა რიცხვი, რომელნიც მუშაობდენ თავის საკუთარ მიწაზე, შემცირებულა; ხოლო დაქირავებულ მიწაზე მეურნეთა რიცხვი გამრავლებულა. აქედან აშკარაა შემდეგი: 1) მესაკუთრე მეურნეთა რიცხვი კლებულობს; 2) არამესაკუთრეთა რიცხვი მატულობს; 3) მწაგროვდება არამეურნეთა ხელში.

«ევერიის» კრიტიკოსი დიდი რიხით ბრძანებს: «როდესაც სტატისტიკის ისეთმა ავტორიტეტმა, როგორც რ. გიფფენია, პირველათ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, რომ ყოველ წლიგადამავალ სამკვიდროთა რიცხვი იზრდება, იზრდება აგრეთვე ამ სამკვიდროთა ღირებულობაც, დიალექტიკის სოფისტებმა მხოლოთ ცბიერათ ჩაიღიმეს. მაგრამ აი, გაჩნდა თხზულებანი ფრანგთა, იტალიელთა და, ბოლოს, გამოცხადდა გერმანიის 1895—96 წლის აღწერის შედეგიც. ყველგან სტატისტიკის მშრალი ციფრები მსხვილ, საშუალო და წვრილ შეძლების პატრონთა რიცხვის გამრავლებას ღაღადებდენ. ფაქტი აშკარა იყო, იგი აქარწყლებდა მოძღვრებას კაპიტალთა კონცენტრაციის შესახებ... რა უნდა ექნათ?—ზოგიერთებმა (ვანდერველდემ[7], ბერნშტეინმა და სხვებმა) აღიარეს ფაქტის არსებობა, მაგრამ სხვებმა, ენგელსის მეცნიერების დამცველთა შეშფოთებულ ნახველთ მიმართეს მეტათ გასაკვირველ მეთოდს: ᲐᲠᲐᲛᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲐᲢᲐᲕᲐᲗ, ამა თუ იმ ადგილში რამდენი მცხოვრებია, რამდენი კაცი კვდება და სხვა. მათ აბსოლუტური რიცხვი კი არ აიღეს, მხოლოთ პროცენტები გადმოგვიშალეს („ევერია“ № 59)[8].

თქვენი მტერია, ჩაგვიჭირა «ევერიის» სარდალმა... ყოველმხრით ეერიში მოიტანა, გზა შეგვიკრა, იარაღის დაყრას გვთხოვს!.. „ყოველგან სტატისტიკის მშრალი ციფრები მსხვილ, საშუალო და წვრილ შეძლების პატრონთა რიცხვის გამრავლებას ღაღადებენ. ფაქტი აშკარა იყო“... რაღა გვრჩება, უნდა დავმორჩილდეთ ძლევამოსილ «ევერიის» სარდალს. ეხ, გმირო, გმირო! თქვენი „აშკარა ფაქტები“ ოცნების ფაქტებია. გონს მოდით, გამოფხიზლდით, წაიკითხეთ ის წიგნები, რომლებსაც ასახელებთ და მაშინ ნახავთ, რომ ᲩᲔᲛᲘᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ სრულიად ეწინააღმდეგება თქვენს ოცნებაში არსებულ «მშრალ ციფრებს» და «აშკარა ფაქტებს».

საერთოთ სიმდიდრე თუ როგორ ნაწილდებოდა მე-XIX საუკუნეში, ამას ჩვენ ვრცლათ გავარჩევთ ცალკე თხზულებაში, მესამე წერილში კი იმდენათ შევეხებით ამ კითხვას, რამდენათაც ეს საჭიროა „ევერიის“ ბაქია მეცნიერის ზემო მოყვანილ სიტყვების უსაფუძვლობის დასამტკიცებლათ. იმედი გვაქვს ავრეთვე მესამე წერილში მკითხველს მივაწოდოთ საღი მასალა და ამით გავუადვილოთ ამ რთული და მეტათ საინტერესო კითხვის რიგიანათ გათვალისწინება. მეორე წერილში კი ჩვენ განვიხილავთ მოკლეთ მიწის მესაკუთრეობის და მეურნეობის ᲬᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ გერმანიაში, ინგლისში და საფრანგეთში და მკითხველი დაინახავს, რომ „ევერიის“ სტატისტიკოსის სიტყვები, ვითომ ყოველგან წვრილ მეურნეთა და მესაკუთრეთა რიცხვი მრავლდებოდეს, სრულიად სიმართლეს მოკლებულია.

დ. თოფურიძე.

(შემდეგი იქნება).

---

[7]) აქ ბ. მარველი ხელ-ახლათ იმეორებს თავის შემცდარ აზრს ვანდერველდის შესახებ, რაც მე ვანდერველდის სხვა-და-სხვა თხზულებებიდან ამოღებულ ციტატებით დავამტკიცე წინა წერილებში. სწორეთ შეუპოვარი გმირია ეგ «ევერიის» სტატისტიკოსი... არც კი გაწითლდება...

[8]) „პროცენტების გადმოშლის“ შესახებ ჩვენ ზევით გვქონდა ბასი და მკითხველმა იცის, როგორ უკ ცობს იჩენს „ევერიის“ სტატისტიკოსი“ სტატისტიკაში და როგორ ღრმათ ცდება.

რედაქტ.-გამომც. ალ. თ.-წერეთლისა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

სექტემბრის პირველ რიცხვებში გამართავს

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲪᲓᲔᲚ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐᲡ.

ვისაც სურს ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება, მიჰმართავენ საზოგადოების კანტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზე) ყოველ დღე, დილის ათი საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე.

Дозволено цензурою, Тифлисъ. 11 августа 1901 г.

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Კ. ᲛᲐᲠᲢᲘᲠᲝᲡᲘᲐᲜᲪᲘᲡᲐ, ᲕᲐᲜᲥᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ Ქ. № 1—2